“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№3 (255)
მარტი
2020 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეორე წელი "LITERATURULI MESKHETI"

ნახ. მიხ. დიაკონიძისა

დედის დოესა და ქალთა საერთაშორისო დღეს

გილოცავთ, ძვირფასო მანდილოსნებო!

თინა წავკისელს

მაია დიაკონიძე

საით მიჰქრის შენი ცხენი, საით, ჩემო თინათინ,
მუმლი უნდა ატიალო, გაამრავლო ღვთის მადლი,
მაგრამ დღეს რომ ხმალი გაცვდა,
შემოვდევით თაროზე,
მტერი ლაღად დასეირნობს წინაპართა კალოზე!

დაინგრა და შემოგვეფშვნა ძველი ციხე-კოშკები,
სიყვარულით ნაშენები ხანძთები და ოშკები,
ფუტკრის ნესტრით ამარცხებდი თავდამსხმელებს,
მომხვდურებს,
თაფლს ასმევდი შენიანებს, მზით ავსებდი ქონგურებს.

წავკისში რომ იდგა კოშკი, ისევ ჟამმა დაშალა,
თუ ქართველებს გვასვეს ცრემლი,
– შხამიანი სამსალა,
ჩვენი ხელით ვანადგურეთ, ვშალეთ ეკლესიები,
იმ ველებზე აღარ ჰყვავის ენძელები, იები.

პატარა კახს გულს უთბობდი მამაცურად მზირები,
(მფარველი და მწე რომ იყო სწორუპოვარ გმირების),
რამდენ მომხვდურს ჩაუყენე შიში ჭუტა თვალებში,
ვერ იტანდი ცრუს და ლაჩარს,
ლაჟვარდებში ნაგეში.

თინა, ნეტავ, რად მესიზმრე,
რისი არის ნიშანი? _
საქართველოს აღზევება იყო შენი მიზანი.
დაე, ქვრივი და ობოლი აღარ გახდეს ხიზანი,
შენს თავს ვფიცავ, არ მოკვდება ჩენი მზე საფიცარი!

საით მიჰქრის შენი რაში, შემოგისხამს ლაბადა,
ბრძოლისაკენ მოგვიწოდებ, იარები კარდაკარ,
ქარს მიჰყვება დალალები,
ცხადია თუ სიზმარი?!
მუმლი უნდა ატიალო, გაამრავლო
ღვთის მადლი!

„ერდევინწყლა მოყვრისა...“

(გრ. ვოლსკის დაბადებიდან 150 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო)

ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პოეტის, პუბლიცისტისა და ექიმის – გრიგოლ ვოლსკის სახელი ქართველ ხალხს დავიწყების ფერფლწაყრილი არასოდეს ჰყოლია. დღევანდელი გახსენება კი მისი ცხოვრების ორ საიუბილეო თარიღს – დაბადებიდან 150 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავს ეძღვნება. ამიტომ მკითხველის ყურადღებას მისი ცხოვრებისეული გზის ზოგიერთ მომენტზე შევაჩერებთ.

გრ. ვოლსკი, მართალის, თავისი წარმომავლობით უცხო, მაგრამ ცნობიერებით, აღზრდით, შეგნებით, ფსიქიკური წყობით, შემოქმედებით, სამშობლოსადმი სიყვარულით – ნამდვილი ქართველი იყო, რაშიც უპირველესი დამსახურება მის ქართველ დედას და იმ გარემოს მიუძღოდა, რომელშიც იგი იზრდებოდა.

გრ. ვოლსკის მამა – იოსებ ლეონტის ძე ვოლსკი, პოლონელი იყო, რომელიც საქართველოში XIX საუკუნის 30-იან წლებში, რუსეთის წინააღმდეგ პოლონელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ გადმოუსახლებიათ. იგი გურიაში დასახლებულა და „კოლეჟსკი პსესორის“ ჩინით სამსახური კავკასიის სამხედრო ჰოსპიტლების კომისრად დაუწყია. 1865 წელს განჯაში გარდაცვლილა და იქვე დაუსაფლავებიათ. დაობლებული შვილების აღზრდა დედას უკისრია.

აღსანიშნავია, რომ გრიგოლის დედმამიშვილებიც – დები: ლეონიდა, ბარბარე, ოლგა და ძმა – ვლადიმერი სამშობლოს მოყვარულ პიროვნებებად ჩამოყალიბებულან და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყვნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრები; ვლ. ვოლსკი ნივთიერ დახმარებას უწევდა სოფელ ახუთის სამრევლო სკოლას; ბარბარე და ოლგა ვოლსკები ცნობილი პედაგოგები იყვნენ ქუთაისში; ისინი, როგორც ქუთაისის საზოგადოების წარმომადგენლები, მონაწილეობას ღებულობდნენ ილიას დაკრძალვაში და სხვ.

გრ. ვოლსკი დაიბადა ქ. ქუთაისში, 1860 წლის 24 იანვარს. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ რუსეთში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. მართალია, ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტად გახდომის სურვილი ვერ აისრულა, მაგრამ დროის ფუჭად ფლანგვასაც არ შედგომია... იგი სწორედ ამ ხანებში იწყებს შემოქმედებით საქმიანობას და „გრ. უმწიფარიძის“ ფსევდონიმით საყურადღებო კორესპონდენციებსა და ლექსებს ბეჭდავს ქართული პრესის ფურცლებზე. ქართველ მკითხველს შეუმჩნეველი არ რჩება 18-19 წლის ჭაბუკის ჭკუა-გონების ნაყოფი და იმთავითვე აღიარებს მას. როგორც კრიტიკულად მოაზროვნე და მშობლიური ენის სიღრმისეულად მწვდომ შემოქმედს.

გრ. უმწიფარიძის (ვოლსკის) ოდესიდან გამოგზავნილი პირველი ლექსი – „ელეგია“ გაზეთ „დროებაში“ 1879 წლის N2-ში დაიბეჭდა. ლექსს დაწერის თარიღად 1878 წელი აქვს მითითებული. ასევე ოდესურ პერიოდს განეკუთვნება ლექსი – „მოტყუებულს“, რომელიც იმავე გაზეთის 37-ე ნომერშია დაბეჭდილი. მასში პოეტის საფიქრალი ასეა გაცხადებული:

„ნატვრა არ მაფრენს შორს უწვდელ ზეცას,
გულს არ იტაცებს ზღაპრულ-ციური;
სრულად ვეკუთვნი ჩვენს ცოდვილ მიწას,
სადაც ბევრს გვიჭირს ლუკმა დღიური.
სად ფეხქვეშ სთელავს უძლურს ძლიერი,
ძმებმა დასწყევლეს დედის ნანინა,
ზეცას შესტირის ბედკრული ერი,
გაღილეველიც არსით, არვინა!“
და სხვ.
(იხ. გაზ. „დროება“, N37, 1879 წ.).

ყურადსაღებია პოლემიკური ხასიათის წერილი – „შენიშვნა უფ. ა-ის რეცენზიაზე, შესახებ პოემისა „დიმიტრი თავდადებული“.

გრ. ვოლსკის თქმით: რეცენზენტ „ა-ს“ ილიას პოემის ნაკლად მიუჩნევია ის, რომ „პოემის პირველი პირი, დიმიტრი თავდადებული ვერ იჩენს ხასიათის სიმტკიცეს და იგი რაღაც უცნაური გმირია„-ო.

რეცენზენტის ამ მოსაზრების საპასუხოდ გრ. უმწიფარიძე წერს: „მაშ, თუ ილია ჭავჭავაძის გმირი, ვერაფერი გმირია, ორში ერთი უნდა იყოს: ან ილია ჭავჭავაძე ვერ არის ნამდვილი მხატვარი-პოეტი, ან ამ უცნაურობას რაღაც ახსნა უნდა ჰქონდეს... უფ. ა!.. თქვენ სცდებით ერთი იმაში, რომ ხედავთ უცნაურობას, გაუგებრობას იქ, სადაც არაფერი უცნობი და არც გაუგებარი არ არის, მეორეთ თავის უცნაურს ახსნაშიაც... თქვენ სრულიად ვერ გიცვნიათ და დაამახინჯეთ პოეტისაგან გამოხატული დიმიტრი... თქვენი არ ვიცი და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ პოემის კითხვაზე არა ერთს და ორს მკითხველს აებუძგა თმა და ჟრჟოლამ გაურბინა ტანში... თქვენ... ვერ მიწვდარხართ აქ გამოთქმულს მაღალს და სამღვთო აზრს და იმიტომაც მთელი პოემა ყირაზე შეათამაშეთ. ყველაფერში, ყველაფერში და გმირული გულის გაგებაში არ არის ისეთი განსხვავება „დაბალ“ და „მაღალ“ ხალხს შუა, როგორც თქვენ პოვეთ“ (გაზ. „დროება“, NN53,54, 1879).

გრ. ვოლსკის, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან თავისი სამშობლო, თავისი მშობლიური ქუთაისი ედგა თვალწინ და ოცნებობდა აყვავებული და მხრებგაშლილი ეხილა იგი. წერილში „მგზავრის შენიშვნები (ქუთაისის და ოდესის შედარება)“, სწორედ ამაზე ესაუბრება მკითხველს. იგი ოცნებობს ქუთაისის უკეთეს მომავალზე... „ვინ იცის მომავალი რა ბედს გვიქადის? ეგებ იქნეს და იმერეთმაც შორს გაშალოს ფრთები, ქუთაისი გახდეს მდიდარ, ამაყ ქალაქად. მოაგოს ნათალი ქვებით ქუჩები... გამართოს დიდებული ქებული უნივერსიტეტი, თავისი გიმნაზიით და შკოლებით, ამასთან შესაფერი თეატრი, ოპერა, გაიჩინოს ჟურნა-გაზეთები...“ (გაზ, „დროება“, N202, 1878 წ.).

ოდესურ ციკლს განეკუთვნება გრ. ვოლსკის მეტად საყურადღებო სტატია „ზღვის გაღმიდან საუბარი ქართველ პატრიოტებსა და სლავიანოფილებზე“, რომელშიც საფუძვლიანად არის მიმოხილული რუსეთში წარმოშობილი სლავიანოფილობა და ის როლი, რომელიც ამ მიმდინარეობამ ითამაშა რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ადარებს მის საქმიანობას საქართველოს პატრიოტთა მოღვაწეობას და გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებებს:

გაგრძელება მე-5 გვ. ▶

ПРОЗА

სუვლიანი ნოველა

რობერტ ბერიძე

ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ, უნივერსიტეტის სიახლოვეს, ჟურნალ-გაზეთების ერთი პატარა ჯიხური იდგა.

იმ ჯიხურთან, ყოველ დილით, ორშაბათის გარდა, ყოველთვის, დიდი რიგი იდგა. ვის არ ნახავდით აქ: უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, რიგით მოქალაქეებს.

ჟურნალ-გაზეთების მსურველთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ აქ გამოტანილი პრესა ხანდახან ვერ სწვდებოდა მთხოვნელებს. ამიტომ, ხშირად, სამართლიანი უკმაყოფილების ხმაც გაისმოდა ხოლმე.

აქ, ჟურნალ-გაზეთების გამყიდველად, ჩვენებური, ახალციხელი, პენსიონერი კაცი, აშოტა მუშაობდა. აშოტა შემთხვევით გავიცანი, – თბილისიდან ახალციხეში მომავალი მატარებლის ვაგონში ერთმანეთის გვერდი-გვერდ მოგვიწია მგზავრობამ.

როგორც მაშინ გავიგე, ძია აშოტას ახალციხეში სახლ-კარი გაუყიდია და თბილისში გათხოვილ, ერთადერთ ქალიშვილთან გადასულა საცხოვრებლად.

ჰოდა, ამ ნაცნობობის წყალობით, აღარ მიწევდა დილაობით პირველი ლექციის გაცდენა, მოსაბეზრებელ რიგში დგომა. გაზეთებს ძია აშოტა საგულდაგულოდ მინახავდა. შევუვლიდი თუ არა, ის, დიდის ამბით, მაწვდიდა გადანახულ გაზეთებს და სანამ ხმას ამოვიღებდი, ის დამასწრებდა ლაპარაკს:

– როგორაა საქმეები, „პროფესორო„, უნივერსიტეტში! – შინაურულად მეტყოდა და გამიღიმებდა. და თუ არსად არ მეჩქარებოდა, გავაბამდით საუბარს. მას ყველაფერი აინტერესებდა, – ჩემი სწავლაც, ჩვენი კუთხის ამბებიც.

წარმატებული სტუდენტი გახლდით, ამიტომ მომავალ პროფესორად მომნათლა.

– უნივერსიტეტის სტუდენტობა ცუდი არაა, ცოდნა არ დაგეკარგება, ადამიანურად იცხოვრებ, – მარიგებდა ყოველთვის მამა-შვილურად.

ერთხელ, აშოტას თვალში, სხვა რამითაც ავმაღლდი.

ჩვევად მქონდა: საცხოვრებელი ბინის გასაღების ღრეჭოში ხუთკაპიკიან მონეტას თავს ჩავუდებდი, ოდნავ გადავწევდი და დაგრეხილ მონეტას ისე დავუგდებდი.

ერთხელ, აშოტამ, ეს შემამჩნია და საყვედურით მითხრა:

– რაა, სულ დაგრეხილ მონეტებს რომ მაძლევ?

– ეს არაფერია, ხანდახან, ჩემთვის ვერთობი, ძალას მოვისინჯავ ხოლმე.

აშოტამ ამრეზად შემომხედა:

– ნუ მატყუებ!

– არ გატყუებ, – დაუფიქრებლად ვუპასუხე.

– აბა, ეს ხუთკაპიკიანი გაღუნეო და... – დახლიდან გადმომაწოდა.

მაშინვე ჯიხურზე მიყუდებულმა მარჯვენა ჯიბეში ხელი ჩავაცურე, მარცხენა ხელით ჯიხურის გასაღებით მონეტის თავი საკმაოდ მაგრად გადავგრიხე და მის წინ, თითებშუა ავათამაშე. რა თქმა უნდა, ჩემი ოინბაზობა მას შეუმჩნეველი დარჩა.

– ინჩ, ხაბარე, აი ძალა! – წამოიძახა გაკვირვებულმა, – შენ უნივერსიტეტში კი არა, ცირკში უნდა გამოდიოდე, ხალხი ტაშს დაგიკრავს მაინც, თუ კაცი ხარ, მაგ დაგრეხილ მონეტებს ნუღარ მომცემ, ბანკში არ ჩაიბარებენ! და იქვე დაამატა:

– ერთ დღეს შენს დაპატიჟებას ვფიქრობ, ჩემთან, ოჯახში, ხომ მოხვალ?

– კი, ძია აშოტ, მოვალ!

მაგრამ აშოტასთან სტუმრობა ორივეს მხოლოდ დაპირებად დაგვრჩა.

მარტის თვის დასაწყისი იყო. რვა მარტი ახლოვდებოდა. იმ დღეს, გაზეთებზე მისულს, ჯიხურში, აშოტას ნაცვლად, ულამაზესი გოგონა დამხვდა, მისი სილამაზით მოხიბლულმა, ენა ძლივს ამოვიდგი. აშოტა ვიკითხე:

– აშოტა? ვინაა აშოტა! – გაკვირვებულმა მითხრა.

– აქ, გაზეთებს რომ ყიდდა!

– არა, აშოტას არ ვიცნობ, ახლა მე ვმუშაობ!

– სამწუხაროა, – ამოვიოხრე ჩემდა უნებურად.

– რა არის სამწუხარო, მე რომ აქ ვმუშაობ?

– არა, ის რომ აღარ მუშაობს!

– რა, მერე, გაზეთებს ჩემგან ვერ იყიდი?

– ყიდვით კი ვიყიდი, მაგრამ აშოტა გაზეთებს მინახავდა.

– რაა? რიგში არ გიყვარს დგომა?

– არა, ვერ ვასწრებ!

– მუშაობთ?

– არა, ვსწავლობ.

– მაშ, სტუდენტი ყოფილხართ, არა?

– კი!

– თუ ასეა, შეგინახავთ!

– ძალიან დამავალებთ!

ქალიშვილს კიდევ ერთხელ ინტერესით შევხედე. მის ნატიფ სახეს წუნს ვერაფერს დასდებდა კაცი. ბოტიჩელის ვენერას ჰგავდა, ჩემი გულის სიღრმეში რაღაც უხილავმა ნეტარების გრძნობამ გაიღვიძა.

– რომელ გაზეთებს კითხულობთ? – მკითხა.

გაზეთები ჩამოუთვალე. მან ფურცელზე ჩაინიშნა.

– კარგით, ყოველდღე შეგინახავთ!

მადლობა გადავუხადე. კიდევ რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ ვეღარ გავიხსენე.

მეორე დღეს, ლექციების დამთავრების შემდეგ, ისე ჩავირბინე უნივერსიტეტის კიბეები, თითქოს, სადღაც მაგვიანდებოდა. გული ბაგა-ბუგით მიცემდა.

ჯიხურთან არავინ ჩანდა. ჯიხურის გაღებულ სარკმელთან კი ის დავინახე. წიგნს კითხულობდა.

ზრდილობიანად მივესალმე. მიცნო. გამიღიმა.

– აი, თქვენი გაზეთები! – სთქვა და გამომიწოდა. საფასური გადავუხადე

და თან დავამატე – ყოველთვის მექნება თქვენი იმედი.

ცოტა ხანს შევყოვნდი...

ვიტრინაში შემორჩენილ ჟურნალ-გაზეთებს დავუწყე გულდაგულ დათვალიერება.

– კიდევ ხომ არაფერი გნებავთ? – მკითხა.

– თუ შეიძლება, აი ის – „მეცნიერება და ტექნიკა“ მომაწოდეთ. თითქოს იმ ჟურნალში ჩემთვის რაღაც საინტერესოს ვეძებდი, ნელა დავუწყე ფურცვლა, მაგრამ მთელი ჩემი გონება, ფიქრი და აზრი, მისკენ იყო მიმართული.

– სასწაულია, სასწაული! როგორ განვითარდა მეცნიერება. მთვარეზე ადამიანმა ფეხი დადგა, მალე, ალბათ, მარსზეც დაადგამს. სხვა სასწაულებიც მოხდება. ადამიანი, თავისი გონებით, შესაძლებლობებით, ღმერთამდე ამაღლდება, – ჩავილაპარაკე და, მორიდებით, მას გავხედე. იმანაც მორცხვად გადმომხედა:

– იქნებ, სხვა სასწაულებიც მოხდეს! – თქვა და სევდიანად დახარა თავი. ზრდილობის გულისთვის ეს ჟურნალიც შევიძინე და დავემშვიდობე.

მეორე დღეს, შუადღისას, ისევ იქ ვიდექი. წიგნს კითხულობდა. მივესალმე. მან თავი დამიკრა, გამიღიმა და გაზეთები გადმომაწოდა.

ისევ შევყოვნდი. ისევ უაზროდ ჟურნალ-გაზეთებს დავუწყე კირკიტი.

წინანდებურად რაღაც მინდოდა მეთქვა, გავსაუბრებოდი, უფრო ახლოს გამეცნო...

– რას კითხულობ?! – ვკითხე, ჩემდაუნებურად.

– ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენს„, – ჩემი საყვარელი მწერალია.

– მეც ძალიან მიყვარს. „მარტინ იდენი„ მისი ავტობიოგრაფიული რომანია.

– ვერაფერს გეტყვით, ბოლომდე ჯერ არ წამიკითხავს.

– წაიკითხავთ და გაიგებთ! მე, პირადად, მაკვირვებს, როგორ შესძლო მარტინ იდენმა, თვითგანათლებით, საქვეყნო აღიარება. სხვათა შორის, მე უფრო ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი„ მომწონს, – წაიკითხეთ, აუცილებლად!

– წავიკითხავ, თუ „მარტინ იდენზე„ უკეთესი იქნება.

– აუცილებლად წაიკითხე!

– რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?! – შემეკითხა მოულოდნელად.

– ფილოლოგიურზე!

– ეჰ, მე ისტორიულზე ვაბარებდი, ქულები არ მეყო, საკმაოდ დიდი კონკურსი იყო! – სთქვა და ნაღვლიანად გახედა უნივერსიტეტის თეთრ კედლებს.

აუცილებლად მოხვდები. აი, მარტინ იდენისთვისაც ხომ მიუწვდომელი იყო ყველაფერი. მან კი სასწაული მოახდინა, მითუმეტეს, შენ მცირე ქულები თუ დაგაკლდა... ისევ მორიდებით ვკითხე, თავისი სახელი:

– მე, ნანა მქვია, – მიპასუხა.

– მე კი, ნიკა!

ასე გავიცანი ქალიშვილი, რომელიც ჩემი ყმაწვილკაცობის პირველი სიყვარულის პირველ ხატად მექცა.

მას შემდეგ, ორშაბათის გარდა, ყოველდღე ვხვდებოდი. რაზე არ ვსაუბრობდით. რვა მარტს ყვავილების დიდი თაიგული მივართვი. ბავშვივით გაუხარდა. დღეს დღე მისდევდა და... ვგრძნობდი, რომ ძალიან შემიყვარდა იგი და უიმისოდ ყოფნა მიჭირდა კიდეც. მასაც ვუყვარვარ, კი? – ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს. – ვუყვარვარ, ალბათ! არ ვიტეხდი იხტიბარს. ამ სიყვარულის პასუხი ჩემთვის მისი მომღიმარი სახე იყო. მოკლედ, მეშვიდე ცაზე დავფრინავდი... ჩვენს ამ ურთიერთობაში უკვე მაისიც ჩამომდგარიყო...

და აი, ერთ დღეს, მასთან თეატრის ბილეთებით გამოვცხადდი.

– რუსთაველის თეატრში გეპატიჟებით, ნანა, „მეფე ლირის„ პრემიერაზე.

ნანა ჩემმა სიტყვებმა უცბად შეაკრთო, მის თვალებში ცრემლი გამოკრთა.

– თეატრში? სამწუხაროდ, ვერ წამოვალ, არ გეწყინოს, ნიკა, – თბილი ხმით მიპასუხა.

– რატომ?

– გადაუდებელი საქმე მაქვს!

– რაა ასეთი, აუცილებელი საქმე?

– უბრალოდ, ვერ წამოვალ!

– არ გიყვარს თეატრი?

– მიყვარს, მაგრამ...

– რა, მაგრამ? – მეფე ლირის როლს სერგო ზაქარიაძე თამაშობს, იმაზე უკეთესს რას ვნახავთ?

– გეთანხმებით, მაგრამ, არ შემიძლია! ძალა აღარ დამიტანებია.

გაწბილებული, ცივად დავშორდი.

რამდენიმე დღე მასზე ფიქრში გავატარე. ეჭვი არ მასვენებდა, რატომ მითხრა უარი?

იქნებ, ყავს ვინმე, თაყვანისმცემელი და მიმალავს?

არადა, ვინ დატოვებდა ჩემს გაცნობამდე ისეთ მშვენიერ არსებას?

უნებლიედ, შურის გრძნობამ გამიელვა გულში. იმ თვალით უნახავი მოქიშპის მიმართ, ვინც ნანას უყვარდა.

არა, არა! თაყვანისმცემელიც რომ ყოლოდა, მის თვალებში ამდენ სიყვარულს ვერ შევიგრძნობდი.

და აი, ისევ იქ ვდგავარ, ჯიხურთან. მივესალმე. თითქოს გაფითრებული მეჩვენა. ნაძალადევი ღიმილით მომესალმა. გამოცდაზე მოუმზადებლად გასულს ვგავდი. და, აი, როგორც იქნა, ძლივსღა წარმოვთქვი ორიოდე სიტყვა.

– ნანა, შეყვარებული თუ გყავს?

ამ სიტყვებმა შეაკრთო ნანა და თვალები აემღვრა.

– არა, რომც მყავდეს, მე არავინ არ შემიყვარებს!

– თქვენ ისეთი ლამაზი და მშვენიერი ხართ, რომ...

ამ დროს ვიღაც მამაკაცი შეჩერდა გაზეთების ჯიხურთან. გაზეთები შეიძინა. სათქმელი კი ვეღარ ვუთხარი.

– საღამოს მე გაგაცილებთ, აუცილებლად!

საღამოს კი, ადრე მისულს, ჯიხური დაკეტილი დამხვდა. გავოგნდი.

ძალიან გამიკვირდა. ასე რატომ უნდა გამირბოდეს-მეთქი?

იმის შემდეგ მთელი კვირა დაკეტილ ჯიხურს არ მოვცილებივარ. ნანა კი, იმ დღის შემდეგ, აღარ გამოჩენილა.

და, აი, კვირის თავზე, ჯიხურთან ისევ მივედი, ისევ რიგი დამდგარიყო გაზეთების შესაძენად. სულმოუთქმელად გავიქეცი. გაზეთის მომლოდინე წინამდგომს ბოდიში მოვუხადე და ჯიხურის სარკმელში შევიხედე. ნანას ადგილზე ვიღაც, შუახნის, თმაჭაღარა ქალი დავინახე.

ნანა ვიკითხე.

– ნანა? ვერ ვიცნობ. მე გუშინ დავიწყე აქ მუშაობა.

ცივად მოვცილდი იქაურობას.

საშინელი მარტოობა ვიგრძენი... იქვე, ახლოს მდგომ ცაცხვის ხეს მივეყრდენი. აღარაფერი მესმოდა...

რამდენიმე წლის შემდეგ ავტობუსით მიმავალმა, ერთ-ერთ გაჩერებასთან, მოულოდნელად, ნანა დავინახე, ყავარჯენზე დაბჯენილი... თავზარი დამეცა... ნუთუ ის არის? ო, ღმერთო, დაიფარე განსაცდელისაგან, – ჩავილაპარაკე მწუხარებით და... განწირული ხმით მძღოლს გავძახე, გაეჩერებინა ავტობუსი და რის ვაივაგლახით ავტობუსიდან ჩამოვედი, სამოციოდე მეტრი უკან გავირბინე, გაჩერებისკენ, მაგრამ იქ მდგომთა შორის ნანა აღარ ჩანდა...

მადლობა

ძვირფასო მეგობრებო,

ჩვენი გაზეთის საშუალებით ღრმა პატივისცემა მინდა გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც გამოეხმაურნენ ჩემი 70 წლის იუბილეს, როგორც პერიოდული პრესის, ასევე საქართველოს რადიოს, სოციალური ქსელისა და სატელეფონო მილოცვებით.

ავთანდილ ბერიძე

ციური მესხიშვილი

მოგონება

გასული საუკუნის 90-იან წლებში, პოეზიის დედოფალი ანა კალანდაძე, მე და ერთი სანდომიანი, ბანოვანი ქალბატონი, მაჩაბლის ქუჩას მივუყვებოდით. ქალბატონმა ანამ, თავისებური უბრალოებით, წარმიდგინა: ციური, ეს იმ დიდი კოტე მაყაშვილის შვილიშვილია. მარო მაყაშვილზე ხომ გსმენიათ?! და, ვიდრე, რაიმეს ვუპასუხებდი, თვითონ განაგრძო თხრობა...

ბედნიერი ვარ, რომ იმ დღეს, ჩემს ცხოვრებაში საქართველოს ნამდვილი ისტორია დაიბადა და მას შემდეგ ვესათუთები.

„და თბილისი ქვითინებდა თმაგაშლილი“

მაყაშვილის დღიურიდან

ასე ადრე, არ ველოდი თბილისში, თოვლს,
მოვიქსოვე ვერც წინდები და ვერც კაბა...
მზე ამოვა! და სულ თუ არ გადაითოვს,
პაემანზე, მაინც მოვა ჩემი საბა...
რუსთაველზე დაფენილა თეთრად თოვლი,
ტაბახმელას გზით მოსულა მარხილითა,
თეთრი ცხენის ნაფეხურთა დანატოვი,
ქვაფენილებს შერჩენიათ სამხილითა...
ცელქი გოგო გამოსულა საგუნდაოდ,
კისკისებს და ხალისობენ მამა-შვილი;
პაპას მუხლზე დაუდია (არ გუნდაობს!)
დღიურების შეკვრა, მარო მაყაშვილის...
კოჯრის ტყეში ია იხდის ცისფერ კაბას,
დაღამდა და შეიღება ცა ნახშირით,
საქართველო დასტიროდა თავის ლაბას
და თბილისი ქვითინებდა თმაგაშლილი...
სამრეკლოდან აღარ ისმის ზარის რეკვა,
ჩაუშლიათ ფრთები მტრედებს: თეთრ და წითლებს,
ჩემს თბილისში გლოვის ზარი დაირეკა
და ღრუბლებმა ყვითელი მზე გააწითლეს!..
პაპას თოვლში მიეძინა ღონემიხდილს,
აღარ ისმის, არც კისკისი მამა-შვილის,
საქართველო დასტიროდა შვილის სიკვდილს
 და თბილისი ქვითინებდა თმაგაშლილი!..

ყველგან დამაგვიანდა

(ვუძღვნი:ბ.ა.მ.-ს)

ვერც ენძელად ამოვედი, ვერც ლურჯთვალა იადა,
გაზაფხულად მოსვლა მსურდა, მაგრამ დამაგვიანდა!..
გზაზე ფურისულა შემხვდა, მიჰყვებოდა ლიანდაგს...
მოფერება დავუპირე, მივხვდი, დამაგვიანდა!..
ცხელ თონეში, დედას პური, ნაცრით რომ გახმიადდა,
იქაც ჩემი ბრალი იყო, – ლოცვა დამაგვიანდა!..
ცხრათვალა მზე, ვარსკვლავებით, ცას რომ უფენს ფიანდაზს,
ისიც მთვარემ შეიყვარა,– კოცნა დამაგვიანდა!..
გახსოვს? – ჩვენი სიყვარული, ასე რომ გახმიანდა...
პაემანზე დამიბარე, მოსვლა დამაგვიანდა!..
დახტის, დახტის ჩიტბატონა, პირს უსინჯავს ნიადაგს
და მეძახის მეტსახელად: ,,ყველგან დამაგვიანდას“...
რა ვქნა? რბოლა ვერ ვასწავლე, ჩემ შავთვალა იაბოს,
რა მოხდება, რომ სიკვდილმაც, ასე დაიგვიანოს?!

მაია ხოფერია

***

ცხელი ცრემლებით ტირის ივლისი,
უფერო დღეებს ავსებს ღალატი,
გაქრა ოცნება, ფრენა, ლიცლიცი,
ახლა სიყვარულს დაგიმალავდი...

მტკვარს გავაყოლე ჩემი რითმები,
კლდიდან დაეშვა სევდის ჩანჩქერი,
ვიცი, დღეიდან აღარ გჭირდები,
არც ნებას ვითხოვ შენთან დარჩენის...

მოვიშუშებდი გახსნილ იარას,
წავშლიდი წყენას ყველა ნარჩენის,
ჩემს გულზე რომ არ გადაგეარა,
ამ გულსაც უფრო გადავარჩენდი...

მიმყვება განცდა, რომ ვარ დასჯილი,
ქარმა შეშლილმა დარდიც ახვეტა,
დილაა, მზეა, ვაღებ ფანჯარას,
სულ სხვა სივრცეში გადასახედად !

***

დღეს ყვავილების ჩავიცვამ კაბას,
ხვალ გავუღიმებ ასხლეტილ ტყვიას,
არ შევევჩვევი არავის ღალატს,
რაც მე მეკუთვნის დროს არსად მიაქვს...

შენ ჩემსკენ სავალს ვეღარ გაკვალავ
და ნუ მომძებნი, ხვალ რომ დაგჭირდე,
დიდი ხანია ფიქრმა დამღალა,
არაფერს არ გთხოვ – არც შენ დამპირდე !..

მე გადავიტან თოვლიან ზამთარს,
გამარტებაზე დავრგავ ნარცისებს,
თუ დაბრუნების სურვილი გაქრა,
ნუ დაბრუნდები – დედას გაფიცებ !!!..

გაფრინდა წლები

გაფრინდა წლები, მღელვარებამ გადაიარა,
ბევრი წავიდა, ბევრიც, ალბათ, სიტყვამ მოცელა,
სხეულს დაეტყო პირგახსნილი სველი იარა
და უპასუხო სიყვარულის ასე მოთმენა..

გადაიკვეთა შენთან ჩემი გზა და ბილიკი,
არ მინდა ვგავდე ჩავლილ ქალებს, ქალებს უკვალოდ,
დამიმახსოვრე, ან გამიშვი სადღაც, ცის იქით,
ან ჩემს დარჩენას, ანდა წასვლას კენჭი ვუყაროთ...

ვიცი, სავსე ხარ, ამოცლილი ნეკნიც იპოვე,
უშენოდ მიჭირს და მარტივად ასე გიყვები,
არ მოგერიდოს უარის თქმა, თუ რამე გთხოვე,
უბრალოდ, მსურდა შეგხებოდა ჩემი სიტყვები...

თუ ვერ მოვიგე და დარეკეს მწუხრის ზარებმა,
ვერც ვარსკვლავს მივწვდი (და გირჩიეს ჩემი გაშვება),
ბინას დავიდებ უპატრონოდ შეშლილ ქარებთან,
რომ ფრენას ჰგავდეს სიმაღლიდან დაბლა დაშვება !..

მესამე

თითებზე ვითვლი გაფრენილ თვეებს,
ვხარობდი, როგორც მინდვრად კესანე,
ყველაფერი რომ გამოსულიყო,
ჩვენს შორის მაინც იდგა მესამე...

სხვას კი ეგონა, ვიდექი თურმე,
თქვენს შორის, როგორც ეკალი, ბარდი,
მე დღეს ბრდღვიალა მზეს შიშით ვუმზერ,
ტყვე ვარ, მძევალი, სევდის და დარდის...

იდგა და იდგა, დადგება კიდევ,
ქალები ვისაც დააქვთ ფიქრები,
მე გაგეცალეთ, უცხო გზას მივდევ,
ვით ღამის ლანდი ისე გიქრები...

დაე, იფრინონ სიხარულისთვის,
ყალბი გრძნობებით იცეკვონ ქარში,
ბევრი ვიწვალე სიყვარულისთვის,
როგორ მარტივად წამშალე წამში...

არ შემიძლია ვინმეს წავართვა,
რასაც მისად თვლის, აქვს ბრძოლის ნიჭი,
თუ ყველაფერი ასე დამთავრდა,
მხოლოდ ვისუნთქო, სუნთქვაც კი მიჭირს..

ცამდე ავიყვან ჩემს სულს დაზაფრულს,
იქ ვიყვავილებ, როგორც კესანე,
მე დღეს ხმაურით გითმობთ გაზაფხულს,
რადგანაც არ მსურს ვიყო მესამე...

რა მოხდა მერე

რა მოხდა მერე, თუ გადავცდი ბალზაკის ასაკს,
თუ ნაოჭებმა მოიყარა ტუჩის კუთხესთან,
აცეტების და დაღვინების უზადო ნაზავს,
ფერარეული შემოდგომა უფრო უხდება...

მალე ზამთარიც ჩამობარდნის ცისფერი თოვლით,
დავანთებთ ბუხარს, წიფლის შეშაც ატკაცუნდება,
მთვარიან ღამეს გავიხარებთ ჩვენ ერთად ყოფნით
და ყველაფერი რაც დალაგდა ახმაურდება...

როგორც წარსულში, დაიწყება ჭორები ისევ,
გრძნობებს კი, ალბათ, დაედება ფერი სიმშვიდის,
ბედნიერი ვარ, რადგან დღეებს ფიქრებით გივსებ
და მეღიმება ფუჭ ოცნებებს რატომ გიშლიდი...

დრო მოგონებებს სულ უბრალოდ ფუთავს და ნასკვავს,
მე ბედისწერას დავაბრალე შენ რომ გამოჩნდი,
რა მოხდა მერე, თუ გადავცდი ბალზაკის ასაკს,
შუბლზე ღარი და თვალის ირგვლივ გაჩნდა ნაოჭი...

ნუხელ

იოდისფერი დაჰკრავდა ზეცას,
ვფიქრობდი, წუთით შემომივლიდი,
შენ რომ მოგწონდა ის კაბა მეცვა,
ხელს ჩავკიდებდით, ისე ვივლიდით...
ქარი დაჰქროდა, როგორც შეშლილი,
ამტვრევდა ფანჯრებს, გავყავდი გარეთ,
ბევრ რამეს ვიცი, როგორ შევცვლიდი,
თუ მიმიყვანდი, იმ მთავარ გზამდე...
მე დავმალავდი გულში სიყვარულს,
მეყოლებოდა მკერდზე ჩვილივით,
მივეცემოდი მერე სინანულს,
შენ თუ არასდროს შემომივლიდი...
მე დავმალავდი, როგორ მიყვარდი,
თუმცა თვალები მაინც გამცემდა,
ლაბირინთებში ტკივილს მივყავდი
და ლექსს მითვლიდნენ შენს წინ დაცემად...

***

დიდი ხანია გავცდი ბილიკებს
და მთავარ გზამდე რწმენით მივედი,
თუმცა ვიარე უმისამართოდ,
არ დავკარგულვარ, მზის სხივს მივდევდი...

თვალგახელილი გათენდა ისევ,
ფანჯრის რაფაზე ვწერე ბარათი,
რა გადაღლილი თვალებით მიმზერ,
ახლოს რომ მყავდე – დაგიფარავდი...

ფრთებს გაჩუქებდი ცაში საფრენად,
მერე ღრუბლებში გავშლიდი ლოგინს,
იტყოდი, ღირდა ერთი გაფრენა,
შეიყვარებდი ჩემსავით ლოდინს...

იტყოდი – ღირდა ბოდვა და ჭორი,
არ იწერება სტრიქონი ისე,
როგორც ვარსკვლავი, ხარ შორზე შორი
და ჩამქრალ ღამეს ციმციმით მივსებ...

„ერდევნუკა მოყვრისა...“

(გრ. ვოლსკის დაბადებიდან 150 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო)

◀ დასაწყისი გვ. 1

რა გარემოებამ დაბადა და ასაზრდოვა სლავიანოფილობა?.. სლავიანოფილობა იყო პროტესტი იმ მიმართულების წინააღმდეგ, რომელიც გაჩნდა რუსეთში და გაძლიერდა პეტრე დიდის დროს და უმოწყალოდ მოსდგა საზოგადოებრივი ცხოვრების ძველთ საფუძველთ მტვრევასა და შეცვლას, იმის მიუხედავად, თუ რა იყო ძველში დასალეწი და რა დასატოვებელი. მაშინ რუსეთში გაჩნდა ყველაფრის უთავბოლო ძაგება, რასაც რუსის სახელი ერქვა და აღტაცება ყველაფრით, რასაც საზღვარ-გარეთელი. თუმცა-კი ძალიან საეჭვო ბეჭედი ესვა. ზნე, ჩვეულება, ენა, ტანსაცმელი, ყველაფერი ისე აირია, რომ გარჩევა არ იყო. რა იყო მათში რუსული და რა ნემეცური თუ ფრანგული...

ამ მახინჯმა და მაიმუნურმა წამხედურობამ, როგორც შეუსაბამო უკიდურესობამ, გამოიწვია მეორე მახინჯი უკიდურესობა – სლავიანოფილობა.

იყო რაიმე ცვლილება საქართველოს ცხოვრებაში იმ არეულობის მსგავსი, რომელიც რუსეთის ცხოვრებაში მოახდინა დიდმა პეტრემ? სწორედ იყო და ახლაც მოქმედებს მისი ძალა... საქართველოსაც ჰყავს თავისი „ქართველი-ფილები“?.. მე ვაღიარებ, რომ საქართველოში იყვნენ და ახლაც არიან ქართველოფილები, მაგრამ ღმერთმა მაშოროს აქედამ იმ დასკვნის გამოყვანას, ვითომც ეხლანდელი დაწინაურებული ქართველობა ომს უცხადებდეს ხალხის ენას, ბრმა მოტრფიალე იყოს წარსულის დროისა, გუნდრუკს უკმევდეს ყველაფერს ძველს, არ ესმოდეს ახალი, თანამედროვე მოთხოვნილებანი, არ სწამდეს ევროპის ცივილიზაცია... ახალი თაობა სხვაფერ ხედავს თავის მოვალეობას. სხვა იდეალი უღვივის გულში, ხალხოსნობა, განსაკუთრებული ხალხოსნური ხასიათის შერჩენა და დროის მიხედვით წინსვლა – აი იმის დევიზი, იმის მცნება...

ნუთუ ფარნავაზის დროის ნატვრა ისახება იმ ნაღვლიან და გულდამწვარ გრძნობაში, რომელსაც უნებურად გამოსთქვამს საქართველოს ხალხის მოყვარე, მისი წარსულის მოგონებით?... არა, არ მჯერა! ამ წარსულის დატირებაში ისახება მაღალი და საიმედო გრძნობა... უკეთესი მომავლის სურვილი და იმედი... ამ გრძნობას არა აქვს არავითარი კავშირი სლავიანოფილურ თავხედობასთან...“ (გაზ. „დროება“,N68, 1880 წ.)

ამასთან ერთად, გრ. ვოლსკი მოურიდებლად აკრიტიკებს საზოგადოების იმ წევრებს, რომელთაც სამამულიშვილო იდეალები დავიწყნიათ და „კუჭის მრწამსი“ გასჯდომიათ ძვალ-რბილში:

„ვაი საწყალს და ბნელ მხარეს,
სად ძმა ძმაზე ლესავს კბილებს,
სად ძვალ-რბილში გასჯდომიათ
„კუჭის მრწამსი თვით
ყმაწვილებს...
სად ყმაწვილიც ბერიკაცობს
კუჭზე ფიქრით გადამკვდარი,
და გულს მძინარს არ უღვიძებს
პოეზიის ტკბილი ქნარი!...“
(გაზ. „დროება“, N 66, 1880 წ.)

80-იანი წლების დასასრულს, გრ. ვოლსკის შესაძლებლობა ეძლევა მოსკოვში გაემგზავროს და უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახდეს. სწავლასთან ერთად, აქტიურად ებმება სტუდენტთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მალე აარსებს ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს და როგორც თავმჯდომარე უნარიანად წარმართავს მის საქმიანობას. ალ.ხახანაშვილი მოგვიანებით იხსენებდა: „გრ. ვოლსკიმ „მოქმედება და სახელის მოხვეჭა დაიწყო სტუდენტობის დროსვე... იგი სწავლობდა საექიმო ფაკულტეტზე. მე მოვუსწარ იმას ვგონებ უკანასკნელ კურსზე. მოსვლისთანავე ძველი სტუდენტებისგან გავიგონე ვოლსკის სახელი. მოუთმენლად ველოდი ამხანაგების კრებას, რომელზედაც უნდა დასწრებულიყო ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი სტუდენტების წრისა. მართლაც, ბედმა მარგუნა მის გვერდით დაჯდომა პირველ საღამოსვე...“ (გაზ. „ფონი“, N8, 1909 წ.).

აღსანიშნავია, რომ მათი მეგობრული ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა.

მოსკოვში სწავლის პერიოდში კიდევ უფრო ინტენსიური და ნაყოფიერი ხდება გრ. ვოლსკის (უმწიფარიძის) პუბლიცისტური და პოეტური შემოქმედება. მისი ნაწერები გარდა „დროებისა“, ქვეყნდება: „ივერიასა“ და „შრომაში“, „კვალში“ და „მოამბეში“, „ნოვოე ობოზრენიესა“ და „კავკაზში“, „ცნობის ფურცელსა“ და

„ნობათში“, „ეშმაკის მათრახსა“ და „საქართველოში“, კრებულ „ცდასა“ და ალმანახ „ქართველ ერში“ და სხვ.

გრ. ვოლსკი აკაკის სკოლის პოეტურ ჯგუფს განეკუთვნებოდა. მისი ლექსები: „ელეგისს“, „მოტყუებული“, „მეგობარს“, „ჩემო მუზავ“, „სიზმარი“, „ვაი საწყალს და ბნელ მხარეს“, „როდეს მეწვევა სევდა დამწველი“, „შენ გეტრფი მარად“, „როს საუკუნოდ დავდუმდე“ და სხვ. ქართული პოეზიის საგანძურს განეკუთვნებიან. სამშობლოზე თავდავიწყებით შეყვარებული პოეტისათვის საქართველო სალოცავი ხატი იყო. ეს განცდაა გადმოცემული მის ლექსში „შენ გეტრფი მარად“, რომლის სიტყვებზეც მელიტონ ბალანჩივაძის მუსიკამ იგი ქართული რომანსის კლასიკურ ნიმუშად აქცია:

„რა წამსაც მეტყვი საქმეს
საგმიროს,
თუნდ მტრის ლახვარმაც
მომკლას, განმგმიროს,
შენთვის სიკვდილსაც მივიჩნევ
არად...
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი
მარად!...
... ჭირსა თუ ლხინში, ყველგან,
ყოველთვის
გული, გონება შენსკენ
მომელტვის,
მარტო შენ მწამხარ, ხატად და
ჯვარად...
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი
მარად!..“

(„ქართული პოეზია“, ტ. 11, 1980, გვ. 92).

გარდა ლექსებისა და პუბლიცისტური წერილებისა, გრ. ვოლსკის ეკუთვნის შესანიშნავი თარგმანებიც როგორც რუსულიდან (ანტ. ჩეხოვი, ჰ.კ.ანდერსენი...), ისე ქართულიდან რუსულად (ილია ჭავჭავაძე, შიო არაგვისპირელი, ეკ.გაბაშვილი და სხვ.).

გრ. ვოლსკის აზრით: „თავის ისტორიის უცოდინარი ერი ჰგავს იმ უგვარო კაცს, რომელსაც არ გაეგება თავის დაბადების ამბავი და არ იცის, სადაურია. ჩვენს გარემოებაში მყოფი ერისთვის ისტორიასა და წარსულს, – თუ მეტადრე ეს წარსული დიდებული და დიაღ თავმოსაწონია, – განსაკუთრებული და უაღრესი მნიშვნელობა აქვს“ („კვალი“, N11, 1893).

იგი არა მარტო ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წარსული ისტორიის ღრმა მცოდნედ, არამედ დიდი ებრაელი ერის ტრაგიკული ბედის გამზიარებლადაც გვევლინება. სწორედ ასეთი ჭირისუფლური პოზიციაა დაფიქსირებული ახალგაზრდა პუბლიცისტის სტატიაში – „ებრაელების საქმე ჩვენში“, რომელიც გაზეთ „დროების“ 1883 წლის 11 სექტემბრის ნომერშია დაბეჭდილი...

სამშობლოში დაბრუნებული გრ. ვოლსკი აქტიურ პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას იწყებს. ერთხანს რკინიგზაში მუშაობს ექიმად, მაგრამ არჩეული პროფესია არ იზიდავს, კერძო პრაქტიკაც არა აქვს და მუდამ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდის... ასეთ ყოფაშია არა მარტო ის, არამედ მთელი ქართველი მშრომელი ხალხი. ამიტომ ძლიერ-

ბათუმი. ადგილი, სადაც, სავარაუდოდ, გრ.ვოლსკია დაკრძალული

დება სოფლის მოსახლეობის ლტოლვა ქალაქებისაკენ, ორიოდე კაპიკის შოვნის იმედით. განსაკუთრებული მიზიდულობის ძალა იმ წლებში ბათუმმა შეიძინა, რაც განპირობებული იყო სარკინიგზო მშენებლობებითა და ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების ამუშავებით...

დავით კლდიაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ასეთ დროს „ბედმა ბათუმში ჩამოაგდო რკინიგზაში მოსამსახურე ექიმი გრიგოლ ვოლსკი“. ეს მოხდა 1885 წელს. იგი დაუყოვნებლივ ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში იმჟამად იქ მოსამსახურე მცირერიცხოვან ქართველთა ჯგუფთან ერთად. „გრიგოლ ვოლსკიმ და მასთან ერთად ივანე მესხმა, სერგეი მესხის ძმამ, დიდი ამაგი დასდეს ბათუმს და დიდი სამსახური გაუწიეს ქართველობას და ბათუმის მცხოვრებთ“ – გვაუწყებს დ.კლდიაშვილი, ამ ჯგუფის იმთავითვე მხარში მდგომი და მათი ყოველდღიური საქმიანობის თვითმხილველი (დ.კლდიაშვილი, თხზ. ტ. 2., თბ. 1935 წ. გვ. 161).

1888 წელს ბათუმში ქალაქის თვითმმართველობა დაწესდა. ჩატარდა ქალაქში საბჭოს ხმოსანთა არჩევნები, სადაც უმრავლესობა რუსებმა, სომხებმა და ბერძნებმა მოიპოვეს. თვითმმართველობის გამგეობაში მარტო რუსები შევიდნენ, მხოლოდ გამგეობის მდივნად გაყვანა მოხერხდა ივ. მესხის, რომელიც „სული და გული შეიქმნა ახლად შემოღებული თვითმმართველობისა“ (დ.კლდიაშვილი). მას იმთავითვე გვერდში ამოუდგა თავისი ქუთაისელი თანაქალაქელი გრ. ვოლსკი და გულმოდგინე მუშაობას შეუდგნენ მომავალი არჩევნებისათვის.

რუსი შავრაზმელები, გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორის, პალმის ხელმძღვანელობით, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ქართველებისათვის შესაძლებლობა არ მიეცათ, არა თუ თვითმმართველობაში, არამედ ბათუმში დამკვიდრებისათვის. მათ სოლიდარობას უწევდნენ სომხებიც.

მათდა სამწუხაროდ, 1894 წლის 12 ოქტომბერს გამართულ მორიგ არჩევნებში ქართველებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს – ქალაქის საბჭოში არჩეული 35 ხმოსანიდან, 19 ქართველი, 8 რუსი, 3 პოლონელი და ხუთი ბერძენი აღმოჩნდა. ეს წარმატება გრ. ვოლსკის აქტიური ორგანიზაციული მუშაობის შედეგად იქნა მიღწეული.

სოფრომ მგალობლიშვილის აზრით: „ძნელი წარმოსადგენია, რა ჯაფა და შრომა დასჭირდებოდა ბათომის ქართველობას და, კერძოდ, თვით ვოლსკის, თავისი თავგანწირული ამხანაგობის საქალაქო არჩევნებში გამარჯვებისათვის... ეს იყო და ეს, ქართველობამ ძირი მოიმაგრა. და მას უკან დღემდე ბათომს განაგებს ქართველობა. მიზეზი ამისა იყო და არის გრიგოლ ვოლსკი... გრიგოლი იყო იშვიათი ენერგიის ადამიანი, თავდადებული მამულიშვილი და უანგარო პატრიოტი... ერთად შემკრები ქართველობისა“ (სოფრომ მგალობლიშვული, „მოგონებანი“, თბ. 1938 წ. გვ. 186-187).

პალმის მსგავსი შოვინისტები სიშმაგემდე მიიყვანა იმანაც, რომ ბათუმის ქალაქის თავად, ქუთაისში მიღებული დიდი გამოცდამიღებული უპატიოსნესი პიროვნება ლუკა ასათიანი იქნა არჩეული. ამგვარად, ჩამოყალიბდა ქართველ ხმოსანთა ძლიერი გუნდი (ლუკა ასათიანი, ივ.მესხი, კარლო ჩხეიძე, გრ. ვოლსკი და სხვ.), რომლებიც ბათუმში ყველა ეროვნულ-კულტურული წამოწყების თაოსნები შეიქმნენ. მათი ინიციატივით ბათუმში დაარსდა ქშ. წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეობა დაევალა გრ. ვოლსკის; გაიხსნა ქართული სკოლა, რომლის მზრუნველთა კომიტეტის ხელმძღვანელადაც გრ. ვოლსკი იქნა არჩეული... მომდევნო წლებში ბათუმს შეემატა გიმნაზია და საქალაქო სასწავლებელი, რომელთათვისაც კაპიტალური შენობები აუგიათ... დაუარსებიათ ლომბარდი და კომერციული ტიპის ბანკი; აუშენებიათ ელექტროსადგური; დაუწყიათ სამუშაოები ქალაქის გარშემო ჭაობების ამოსაშრობად, გაუშენებიათ ზღვისპირა ბაღი, დაუწყიათ ცენტრალური ქუჩების მოკირწყვლა; ნურიის მოედანზე აუგიათ მშვენიერი შენობა დახურული ბაზრისთვის; შესდგომიან ქალაქის თვითმმართველობის შენობის აგებას და სხვ.

რამაზ სურმანიძის თქმით: გრიგოლ ვოლსკის დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა, თუმცა მეგობართა შორის გამორჩეული ადგილი დავით კლდიაშვილს ეკავა. მწერალი დიდად აფასებდა გრ. ვოლსკის სიმამაცეს, პატრიოტობას და სამშობლოსათვის თავდადებას... დავით კლდიაშვილმა ზედმიწევნით ზუსტად ასახა გრ. ვოლსკის მრავალმხრივი მოღვაწეობა ბათუმში და ყველაფერი ისე დაგვიხატა, რომ მისი მეგობრების ბიოგრაფიის შესასწავლად სხვა წყაროები რომც არსებობდეს, დ.კლდიაშვილის მოგონებებიც საკმარისია“ (რამაზ სურმანიძე, „გრიგოლ ვოლსკი“, ბათ. 2014, გვ.164).

მართლაც შთამბეჭდავია დიდი მწერლის მიერ დახატული გრ. ვოლსკის პორტრეტი: „ღრმად ნაკითხი, ცოდნით აღჭურვილი, მშვენიერი მოლაპარაკე, ოხუნჯი – იგი სასიამოვნო მოსაუბრე იყო ყოველ შეკრებილობაში, ყოველ საზოგადოებაში. იდეალისტი, გულკეთილი, ღრმად მგრძნობიერი, იგი ძლიერ ადვილად იზიდავდა ყოველ შემხვდურს, მებრძოლი ხასიათის მქონი იგი გაბედული და შეუდარებელი იყო ბრძოლაში“ („ქართული პროზა“, წიგნ. XVI, თბ. 1988 წ. გვ. 445).

გრ. ვოლსკის ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებთან: ილიასთან, აკაკისთან, იაკობ გოგებაშვილთან, სერგეი მესხთან, ნიკო ნიკოლაძესთან, გიორგი წერეთელთან, სოფრომ მგალობლიშვილთან, ანტონ ფურცელაძესთან, ალ.ხახანაშვილთან, ივანე და დავით მესხებთან, ლუკა ასათიანთან, ალექსანდრე და გრიგოლ ყიფშიძეებთან, მემედ აბაშიძესთან, ლადო მესხიშვილთან, კიტა და ვასო აბაშიძეებთან, ესტატე მჭედლიძესთან (ბოსლეველი), გიორგი ჟურულთან, გიორგი ზდანოვიჩთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან, ნიკო ლომოურთან, ნიკო ჯაყელთან, არტურ ლაისტთან და სხვებთან. ასევე ახლო ნაცნობობა, მაგრამ, იმთავითვე, იდეური შეუთავსებლობა ჰქონდა ქართველ „მესამე დასელთა“ ისეთ წარმომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ: კარლო ჩხეიძე, იოსებ კაკაბაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ეგნატე ნინოშვილი, ისიდორე რამიშვილი, რაფიელ ჩიხლაძე, სოსო ჯუღაშვილი, მიხა ცხაკაია, დომიდე თოფურიძე, ნოე რამიშვილი, ბენია ჩხიკვიშვილი, გიორგი ცინცაძე, ალ. შატილოვი, ევგენია, ანა და გრიგოლ სოლოღაშვილები, ჭოლა ლომთათიძე და სხვ.

ეს დაპირისპირება ბათუმში მოღვაწე ქართველ ნაციონალისტებსა და ინტერნაციონალისტებს შორის განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრებულა, რაც სენაკის სკოლიდან გამოძევებულ სახალხო მასწავლებელ ის. რამიშვილს აქ დაუწყია სამსახური. ამის თაობაზე იგი თავის „მოგონებებში“ წერს: „სენაკის სკოლაში ვეძებდი და ვერ ვპოულობდი საქმეს, აქ, ბათომში, თავზე გადამდიოდა... ქალაქში გაჩაღებული იყო ბრძოლა მწარმოებელსა და მუშებს შორის... ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატია, ბათომის კომიტეტის თაოსნობით, რომელიც ექვემდებარებოდა თბილისის კომიტეტს...“ ბათომის „ქალაქის თვითმმართველობის საბჭო, სადაც ჩვენი წარმომადგენელი, კარლო ჩხეიძე გვყავდა გაყვანილი ბრძოლის ველად იყო გადაქცეული... „ქალაქის

მამები“ გრიგოლ ვოლსკის მეთაურობით ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ ლიბერალ-დემოკრატიულ აზრებს, განსაკუთრებით ინტერნაციონალურს... ადგილობრივი მზრუნველი კომიტეტი დიდი უკმაყოფილო იყო ჩემი მოქმედებით სკოლაში. განსაკუთრებით იყო ჩემზე გაჯავრებული სამზრუნველოს თავმჯდომარე გრიგოლ ვოლსკი, რომელიც ცდილობდა სკოლიდან ჩემს მოშორებას... ის იყო უმწვერვალესი ქართველი ნაციონალისტი და იმთავითვე არ მოეწონა სკოლის გამგედ ინტერნაციონალისტის დანიშვნა“ (ისიდორე რამიშვილი, „მოგონებები“, გამოსაცემად მოამზადეს გოჩა საითიძემ და ქეთევან რამიშვილმა. თბ. 2012 წ. გვ.259).

თუ რა იყო მიზეზი ინტერნაციონალისტ ის. რამიშვილსა და უმწვერვალეს ქართველ ნაციონალისტ გრიგოლ ვოლსკს შორის ურთიერთობის გამწვავებისა, ამის შესახებ თავმოწონებით გვიამბობს „მოგონებების“ ავტორი.

„გადაეკიდნენ ერთმანეთს ორი გავლენიანი პირი, – წერს ის. რამიშვილი, – ორი ექიმი – გრიგოლ ვოლსკი და გრიგოლ ელიავა... მიმართულებით მათ სადაო არაფერი ჰქონდათ, რადგან ორივე ქართველი პატრიოტი-ნაციონალისტი იყო, აქ პირველობისთვის მეტოქეობას ჰქონდა ადგილი... ორივე ეძებდა მომხრეებს სხვა ეროვნებებში... გრიგოლ ვოლსკი უფრო ბერძნებს ეტანებოდა, ელიავა კი სომხებსა და რუსებში პოულობდა ძალებს“ ქალაქის საბჭოს არჩევნებისას. „ქართული სკოლა ჩვენ ყოველთვის ორმოცდაათ ხმას გვაძლევდაო“ – მითხრეს მისვლისთანავე ვოლსკის ჯგუფის წევრებმა დ.კლდიაშვილმა და ნ.ჯაყელმა და გამაფრთხილეს, რომ მეც ძველ გზას მივყოლოდი. მე გადაჭრით უარი ვთქვი: სკოლა აქ არსებულ დავაში ვერ ჩაერევა-თქო“. ასეთმა ჩემმა განცხადებამ და მისმა ცხოვრებაში მტკიცედ გატარებამ გააგულისა ჩემს მიმართ ვოლსკი და მისი ჯგუფი; ვერ გაუმართლა იმედი ელიავას და მის მომხრეებსაც...“ (იქვე. გვ.274).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს გრ. ვოლსკის ახლო ურთიერთობა და მეგობრული დამოკიდებულება ილიასთან. ზემოთ უკვე ვთქვი, თუ როგორი კამათი გაუმართა ახალგაზრდა გრ. უმწიფარიძემ (ვოლსკიმ) ვინმე „ა-ს“, ილიას „დიმიტრი თავდადებულის“ შეფასების გამო. ამჟამად ი. მანსვეტაშვილის ერთ მოგონებას დავიმოწმებ, რომელიც „ოთარაანთ ქვრივს“ შეეხება. როცა ილიას იგი მეგობართა წრეში წაუკითხავს პირველად, მათი აზრის მოსასმენად. „ილიამ წაიკითხა თავისი მოთხრობა, – წერს ი.მანსვეტაშვილი, – ჩამოვარდა სიჩუმე... პირველი ხმა ამოიღო ვოლსკიმ და ასე სთქვა: „მაგ მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივს“ კი არა „ობოლ მარგალიტს“ დავარქმევდი. ქვრივი, როგორც ტიპი, ჩამოსხმულია, გამოქანდაკებული. ენა ხომ ისეთია, რომ აქ ილიამ თვით ილიასაც კი გადაამეტა, გადააჭარბა. ერთი სიტყვით, მოთხრობა მხატვრულობით, ფერების სიუხვით, ნამდვილი მოსწრებული სიტყვა-პასუხით, მშვენიერია, შეუდარებელია“ („ილია“, თბ. 1987, გვ. 429).

დიდი ილია განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა ბათუმში მიმდინარე პროცესებს, ზოგჯერ ესწრებოდა იქ გამართულ ღონისძიებებს, ამა თუ იმ თანამდებობაზე ასარჩევად თავის კანდიდატურასაც კი სთავაზობდა ბათუმის ქართველ საზოგადოებას... ყველაფერ ამაში მისი ერთგული მეკავშირე და კონსულტანტი გრ. ვოლსკი იყო. ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ ცნობილია, რომ ბათუმში ყოფნისას ილია გრ.ვოლსკისთან ბინადრობდა... ბათუმის ქალაქის თავი გენ. ივ.ანდრონიკაშვილი მოგვიანებით იხსენებდა: ჩემს არჩევას მხარი დაუჭირა „სახელგანთქმულმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ – ილია ჭავჭავაძემ... არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ბათუმიდან მივიღე ქართველ საზოგადოებაში დამსახურებული პოპულარობის მქონე ნიჭიერი პოეტის, საქართველოს დიდი პატრიოტის, ბათუმში საზოგადოებრივი აზრის ფაქტობრივი წარმმართველის, ქალაქის მმართველობის წევრის, ღრმად პატივცემული გრიგოლ ვოლსკის წერილი... მე მას კარგად ვიცნობდი მოსკოვში გატარებული სტუდენტური წლებიდან მოყოლებული“ (რ.სურმანიძე, „გრიგოლ ვოლსკი“, გვ. 192).

გრ. ვოლსკი არა მხოლოდ ბათუმის, არამედ დედასამშობლოსთან ახლადშემოერთებული აჭარის მთელი მოსახლეობის მოჭირნახულედ, მათი ეროვნული ინტერესების დამცველად გამოდიოდა. ამისათვის თუ როგორ იყენებდა პირად მეგობრობას ამა თუ იმ პიროვნებასთან, ნათლად იკითხება მის მიერ იაკობ გოგებაშვილისადმი გაგზავნილი წერილიდან, რომელიც საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. გრ. ვოლსკი თავის მეგობარ დიდ მამულიშვილს ატყობინებს: „კარგად იცი, რომ აჭარა – ქობულეთი, სადაც, ჩვენდა სასიხარულოდ, აქამდის ასე საუცხოოდ შენახული და დაცული ქართველობა, ჩვენებური ზნე-ხასიათი და დედა-ენა, დიდად მოწყურებულია დაეწაფოს სწავლას. ხალხი, როგორც საზოგადოდ ქართველობა, ნიჭიერია და მკვირცხლი. პატრონი ეჭირვება. ამ პატრონობას ჩვენ არავინ გვანებებს. ხალხი თხოულობს სულიერის შიმშილის დაკმაყოფილებას“. მაგრამ აქ მტკიცე კედლად იყო აღმართული რუსული იმპერიული ხელისუფლება, რომელიც „განათლების მოსისხლე მტრის“ ლევიცკის მითითებით ქობულეთსა და ხულოში გზავნიან აზერბაიჯანელ თათრებს, რათა მათ მშობლიური ქართული ენა დაავიწყონ“, რომ „ქართულის ხსენება აჭარის სკოლაში მომაკვდინებელი ცოდვაა“. „რა ვქნათ, პირში ბურთი გვაქვს ჩაჩრილი: დაგვდგომია მათრახ-ამოწვდილი არამზადა თავზედ და გვთხოვს ვიწამოთ, რომ მუხას ვაშლი ასხია...“ და ა.შ.

ამიტომ გრ. ვოლსკი თხოვდა ი.გოგებაშვილს, ხულოს სკოლის საკითხი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის სხდომაზე გაეტანა, რათა იმან დროულად მოგვაშველოს საჭირო ნივთები – რვეულები, საწერ-კალამი, ყარანდაშები, „დედა-ენა“. ჯერ ესეც კმარა. მერე „ბუნების კარიც“ დაგვჭირდება. ეს საქმე შენზე მომინდვია. ისე გააკეთე და მოაგვარე, როგორც თითონ დაინახო საუმჯობესო და საჭიროდ. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ვინმემ შეიტყოს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ამ საქმეში გარევა და იმისგან დახმარების აღმოჩენა აჭარის სკოლისათვის... ამ ნააღდგომევს მასწავლებელი მგელაძე, ისევ წავა ხულოში და ბარემ წიგნებიც თან გავატანოთ... ახლავე შეუდგება ყმაწვილების წვრთნას ქართულ ენაში“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ი.გოგებაშვილის პირადი არქივი, საქმე N327. ფურც. 1-3).

პირველი რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის გაძლიერების შემდეგ, გრ. ვოლსკის ბათუმის ქალაქის თვითმმართველობაში მუშაობას აღარ აცლიან, სასტიკად სდევნიან და ავიწროებენ. ტერორსაც კი უწყობენ და მოწამლული ხანჯლით აყენებენ ჭრილობას... ჯანმრთელობაშერყეული იძულებულია აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოშორდეს და ბათუმსაც გასცილდეს.

1906 წელს მას თბილისის ქართულ გიმნაზიაში იწვევენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. აღ.ხახანაშვილის სიტყვები რომ გავიმეოროთ: „ვოლსკი ემდუროდა თავის ბედს, არ იყო კმაყოფილი იმ საასპარეზო ფარგლით, რომლითაც შემოიზღუდა იმ დროს მისი მოქმედება. არც ბათუმის საზოგადოებას ემადლიერებოდა. მოწინააღმდეგე პარტია არ იშურებდა ყოველგვარ საშუალებას მის გასაშავებლად და დასამცირებლად. უკმაყოფილებას გამოთქვამდა კლასების უდისციპლინობისა და მოსწავლეთა მხრიდან სწავლისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო და სხვ.“ (გაზ. „ფონი“, N8, 1909 წ.).

მისი მამიდაშვილის და ერთ-ერთი ჭირისუფლის ივ.ზურაბიშვილის აზრით: „გრიშამ მიატოვა ბათუმი და მასთან ერთად ის მოღვაწეობა, რომელსაც თავის სიცოცხლის საუკეთესო წელნი შესწირა. თბილისში გადმოვიდა და მასწავლებლობას მიჰყო ხელი ქართულ გიმნაზიაში. ადგილიც გამოიცვალა და საქმეც, მაგრამ ვერ გაუმთელა ერთხელ გაბზარული გული... დიდხანს აღარ დასცალდა ქართული გიმნაზიის მასწავლებლად ყოფნა... უეცარმა სენმა რამდენიმე დღეში გამოასალმა წუთისოფელს... მიუხედავად იმისა, რომ თავს ადგა თბილისის მთელი ქართველი ექიმობა... ესენი იყვნენ მეგობრები, რომელნიც მთელის თავის გონების, სულისა და გულის ძალით შეებრძოლნენ ულმობელ სენს, რომ სიკვდილის კლანჭებიდან გამოეგლიჯათ მათი საყვარელი გრიშა. თვითონ ასმევდნენ და უსობდნენ წამლებს და ამ მოვლის დროს არა ერთს ვეღარ შეეკავებინა ცრემლი...“ (ივანე ზურაბიშვილი, „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“, პარიზი, 1962 წ., გვ. 56-57).

ბათუმის გერბი

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული სამგლოვიარო განცხადებით გრ. ვოლსკის და-ძმა ბარბარე და ვლადიმერ ვოლსკები, მამიდაშვილი ივანე ზურაბიშვილი საზოგადოებას აუწყებენ, რომ მიცვალებულის ნეშტი გამოსვენებული იქნებოდა განსვენებულის ბინიდან (ტექნიკის ქ.N10, პასტერის ინსტიტუტის მახლობლად) და ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პანაშვიდის გადახდის შემდეგ, დაკრძალვა მოხდებოდა კუკიის წმ. ნინოს მართლმადიდებელთა სასაფლაოზე (გაზ „დროება“, N221, 1909 წ.). 9 ოქტომბერს კი ახალ განცხადებაში ყველაფერი დაზუსტებით იყო აღნიშნული: „დღეს, 9 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, გვამი ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფის, განსვენებულ გრიგოლ იოსების ძე ვოლსკისა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან წასვენებული იქნება ვაგზალზე, ხოლო იქიდან ბათუმში, სადაც 11 ოქტომბერს, წირვის შემდეგ, მოხდება ცხედრის დაკრძალვა ქართული ეკლესიის გალავანში, რასაც ბათუმის ქალაქის გამგეობა აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ“ („დროება“, N223, 1909 წ.).

იმ დღეებში არაერთი გამოსათხოვარი წერილი, მოგონება თუ ლექსი გამოქვეყნდა გაზეთ „დროებასა“ და სხვა ბეჭდვურ გამოცემებში, რომლებშიც დიდი გულისტკივილი იყო გამოთქმული სამშობლოს ბედზე მაფიქრალ მამულიშვილზე, შეფასება ჰქონდა მიცემული მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ შემოქმედებით მოღვაწეობას.

თავის სარედაქციო წერილში გაზ. „დროება“ (რედაქტორი ი.ს.აგლაძე) საკმაოდ ვრცლად მოუთხრობდა თავის მკითხველებს „პატიოსანსა და უანგარო ქართველ საზოგადო მოღვაწესა და მწერალზე“, რომელიც „ყოველ ქართულ საზოგადო საქმეში იღებდა მხურვალე მონაწილეობას... როგორც ადამიანი გრ. ვოლსკი „მეტად კეთილშობილი და სიმპატიური იყო; ყველა პატივს სცემდა და თანაუგრძნობდა. ჯერ 50 წლის არც იყო და ძალ-ღონით სავსეს კიდევ შეეძლო სამსახური თავის საყვარელ სამშობლოსათვის“ („დროება“, N220, 1909 წ.).

გრ. ვოლსკის ცხედრის გამოსვენებას ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან უამრავი პატივისმცემელი, სკოლების მოსწავლენი და მასწავლებლები, მეგობრები და ნათესავები დაესწრნენ. გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოსთქვეს – კიტა აბაშიძემ, პეტრე სურგულაძემ და ი. ხატისოვმა.

შთამბეჭდავი იყო კ.აბაშიძის სიტყვა:

„იგი ემსახურებოდა მტკიცე იდეალს, მის გატანჯულსა და განაწამები სამშობლოს სიყვარულისაგან ნაკარნახევსა და ჩაგონებულს: ეს იყო ქართველი ერის კულტურული ცხოვრების განვითარების იდეალი და ამ იდეალის საკურთხეველზე შესწირა მან თელი თავის მდიდარი სიცოცხლე. ამ კაცმა, რომლის ქართული ენის ცოდნა და პოეტური სიყვარული განსაცდელში ჩავარდნილ ქართულ მართლწერისა საუცხოო იყო... უეჭველი და შეურყეველია ის ფაქტი, რომ თუ ბათომის და მისი მიდამოების კულტურულ ზრდა-განვითარებაში ქართველებს უპირატესი ადგილი უჭირავთ, ეს გრიგოლ ვოლსკის წყალობით, რომლისთვისაც ჩვენი საზოგადოების ისტორია მის სახელს უკვდავს ჰყოფს“ (რ.სურმანიძე, დას. ლიტ. გვ. 259).

გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების ამბავს დიდი მწუხარებით შეხვდა მშობლიური ქუთაისის საზოგადოება. საკათედრო ქალაქის თვითმმართველობის გამგეობის ინიციატივით, ტაძარში გაიმართა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო ქალაქის ინტელიგენციის მრავალი წარმომამდგენელი, მათ შორის ქუთაისის დრამატული დასის მთელი შემადგენლობა, ქალაქის თავი და ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარე, პრესის წარმომადგენლები და სხ.

10 ოქტომბერს, რიონის რკინიგზის სადგურზე ასეულობით თვალცრემლიანი ქუთაისელი დახვდა რა გრ.ვოლსკის ნეშტს, გაზეთ „ფონის“ კორესპონდენტის თქმით: „ცხედრის პატივსაცემად სადგურზე შეიკრიბნენ განსვენებულის მეგობრები, ყველა დაწესებულების და პრესის წარმოადგენლები. ყველას სახეზე დიდი მწუხარება იყო აღბეჭდილი. კუბო გვირგვინებით და ყვავილებით იყო შემკობილი. მას თავს ადგა თფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის წარმოადგენელნი და მოწაფენი. ცხედარი გვირგვინით შეამკო ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობამ, ქართულმა გიმნაზიამ, ვარლამ ჭილაძემ ცოცხალი ყვავილებით. 10 წუთის შემდეგ მატარებელი დაიძრა და განსვენებულის ნეშტი ბათუმს წაიღო. გრძნობების გამოსახატავად უფრო შესაფერისი ფორმა და საშუალება იყო აუცილებელი. აქ-კი, თუმცა გული ყველას ეწვოდა, არც სიტყვას, არც პანაშვიდს ადგილი არ ჰქონია. მაშინ, როდესაც არც პირველი და არც მეორე მოუხერხებელი არ იყო. გამგეთ ეს კი უნდა ცოდნოდათ, თუმცა იციან კიდეც და ეს მით უფრო სამწუხაროა“-ო. დაასკვნიდა „ფონის“ კორესპონდენტი (გაზ. ფონი“, N6, 1909 წ.).

11 ოქტომბერს ბათუმის ქართველთა საკათედრო ტაძარში მიცვალებულის სახელზე წირვა და პანაშვიდი აღავლინა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ სამღვდელოების თანხლებით. შემდეგ ხალხმრავალი პროცესია, რომელსაც წინ 30-მდე გვირგვინი მიჰქონდათ სასაფლაოსაკენ გაემართა. ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის წინ სიტყვები წარმოსთქვეს ბათუმისა და ქუთაისის ქალაქის თავებმა ივ. ანდრონიკაშვილმა და დ. ლორთქიფანიძემ, აგრეთვე კ. ბაქრაძემ. ეკლესიის გალავანში, კუბოსთან, მიცვალებულს გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართეს: ეპისკოპოსმა ლეონიდემ, მწერალმა დ.კლდიაშვილმა, თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა ნ.ლორთქიფანიძემ და მოსწავლემ – სანდრო შანშიაშვილმა. დასაფლავებას ესწრებოდნენ სამხედრო გუბერნატორი, ბათუმის პოლიცმეისტერი, ქალაქის გამგეობის წევრები – ჟურული და სახნოვსკი, ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მცხოვრებთა წარმომადგენლები (გაზ. „ბატუმსკიე იზვესტია“, 1909 წ. 12 ოქტომბერი). გრ. ვოლსკის გარდაცვალების სამწუხარო ფაქტს ათეულობით დაწესებულების წარმომადგენელი თუ კერძო პირი გამოეხმაურა, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ისე მის ფარგლებს გარედანაც. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია – მის თანამედროვეთა – გრიგოლ ყიფშიძის, დავ. მესხის, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხ.ჯავახიშვილის და სხვათა გულში ჩამწვდომი სიტყვები.

მიხ. ჯავახიშვილის თქმით: „გრიგოლი იყო მუდამ საზოგადო აზრით მცხოვრები, მუდამ საზოგადოებრივ მისწრაფებათა მატარებელი, მუდამ აღგზნებული, მოტრფიალე ჩვენი განვითარებისა, გატაცებული და მოხარული, როცა რაიმეს სასიკეთოს დაინახავდა ჩვენში და შეწუხებული, როცა ჩვენს სიგლახეს ხედავდა. აურაცხელ მელათა და ქვემძრომთა შორის მუდამ პირდაპირი და გულახდილი, უშიშარი და შეუპოვარი, სადაც სხვები სდუმდნენ; მტერთან მებრძოლი, მოყვარესთან გულის გამთბობი, გამახნევებელი და სულის ჩამდგმელი – აი ვინ იყო გრიგოლი“ (ალმანახი „ქართველი ერი“, N 1, 1909 წ.).

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დღევანდელი მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გრ. ვოლსკის დამტირებელთა შორის, მესხეთელ ქართველთა ხმაც ერია. ამის დასტურია კოტე გვარამაძის მიერ გაგზავნილი ტელეგრამა: „ახალციხე. ადგილობრივი ქართველნი ვგლოვობთ მოღვაწის და მწერლის გრიგოლ ვოლსკის უდროოდ დაკარგვას. გაადეცით ნუგეში განსვენებულის ჭირისუფლებს“ (გაზ. „დროება“, N230, 1909 წ.).

სამწუხაროდ, გრ. ვოლსკის საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია და უშვილძიროდ გადაეგო. თუმცა, მიის ძმის შთამომავლები, მთელი საუკუნეა ღირსეულად ემსახურებიან ქართულ მამულიშვეილურ საქმეს... გრიგოლის ძმის შვილი იყო დავით ვლადიმერის ძე ვოლსკი, ქართული პრესის დამსახურებული მუშაკი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე... გაზეთების – „სპარტაკის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „საბჭოთა აჭარის“ და „მუშას“ რედაქტორი, გამომცემლობების – „ზარია ვოსტოკას“ და „მერანის“ თანამშრომელი, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შესანიშნავი მცოდნე და დამფასებელი და სხვ.

საზხელოვანი მამულიშვილის – გრიგოლ ვოლსკის ამ გასახსენებელი წერილის დასრულება გულსატკენი ფაქტის აღნიშვნით მიწევს: ბოლშევიკების ბატონობის წლებში აქრაერთი მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლი იქნა დანგრეეულ-განადგურებული. მათ შორის იყო ბათუმის ეკლესიაც „ქართული არქიტექტურის უნიკალური შედევრი, რომელიც მელიქიშვილსა და იბერიის ქუჩების კუთხეში მდებარეობდა (თ.კომახიძე). იგი 1928 წელს დაანგრიეს. იქვე იყო ქართველთა სასაფლაოც, სადაც გრ. ვოლსკიც განისვენებდა, რომელიც ამ ვანდალური აქტის შემდეგ დაიკარგა... ამიტომ არის, რომ დღევანდელ მალიერ შთამომავლობას შესაძლებლობა აღარ აქვს დროდადრო ყვავილებით შეამკოს და ერთი სანთელი მაინც დაანთოს მის საფლავზე.

„ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ...“

გელა საითიძე,
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ᲗᲗᲘᲚᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘᲪᲘᲐ

ᲡᲝᲡᲝ ᲒᲘᲫᲝᲨᲕᲘᲚᲘ

აკაკი წერეთელი, თავისი შინაგანი, სულიერი და ზნეობრივი თვისებებით, პირდაპირობითა და მოქალაქეობრივი გამბედაობით, თვითონ იყო გმირი, რომელმაც თავისი ნიჭიც და მთელი სიცოცხლეც სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა. ახალგაზრდობაში მან შემთხვევით მოჰკრა ყური ევროპის ორი გამოჩენილი პატრიოტის საუბარს: ფრანგი ტურუსი და ჰოლანდიელი როდზიევიჩი იგონებდნენ საფრანგეთის რევოლუციას და პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების ეპიზოდებს. ამ ეპოზოდებმა ჭაბუკ პოეტზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა. ,,იმათმა საუბარმა, – წერდა აკაკი – ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი, სმენად გადავიქეცი. ბოლოს თქვა ამოოხვრით როდზიევიჩმა: ახლა რაღა დროს, ვწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარიყავი და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივით სამსახური გამეწია!“. ეს რომ ჩამეწვეთა ყურში. ჩემი თავი ვეღარ ვიცანი! იმ ღამეს აღარ დამეძინა, ვამბობდი: ,,რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნებოდა სამხედრო სამსახური! ოდესმე სარდალი გავხდებოდი“. ასე ოცნებობდა სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული პოეტი, მაგრამ ბედმა მას სხვაგვარი სარდლობა – ერის სულიერი წინამძღოლობა არგუნა და, უნდა ითქვას, რომ, ალბათ, ვერც ერთი სარდალი ვერ გაუწევდა თავის ერს ისეთ დიდ სამსახურს, როგორიც აკაკიმ სამშობლოს გაუწია.

აკაკი წერეთლის პოეზია განსაკუთრებული ძალით ჟღერდა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, როცა ქართველ ხალხს თავისი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ჟამი დაუდგა. ამ მძიმე დროს აკაკის გამამხნევებელი ხმა მალამოსავით ედებოდა ყოველი ქართველის სულსა და გულს. ცნობილია, რომ რუსეთში XIX ს-ის 80-იანი წლების დამდეგს, გადამწვეტი იერიში მიიტანეს მეფის მთავრობაზე და ტერორის საშუალებით მოინდომეს თვითმპყრობელობის დამხობა.გაბედულად დაესხნენ თავს და მოკლე დროში მოსპეს ცარიზმის ყველაზე საძულველი სატრაპები, ხოლო 1881 წლის პირველ მარტს მეფე ალექსანდრე II გამოასალმეს წუთისოფელს. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ რუსეთს და დაჩაგრულ ადამიანებს ცხოვრების უკეთესობისკენ იმედი ჩაუსახა. ამ ამბავმა მოაღწია საქართველომდეც და ხალხის საყვარელ პოეტს უაღრესად გაბედული სიტყვები ათქმევინა:

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
,,გაზაფხული, გაზაფხული!“
გულს იმედი ჩამესახა...
სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი,
ვთქვი, თუ: ,,გულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!“

მაგრამ აკაკის ეს სიხარული, სამწუხაროდ, ნაადრევი აღმოჩნდა: მოკლული მეფის ნაცვლად ხალხს მოევლინა უხეშობით სახელგანთქმული ალექსანდრე III, რომელმაც მთელ რუსეთში სასტიკი რეაქცია გაამეფა. განსაკუთრებით ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რუსეთის მიერ დაჩაგრული ქვეყნები, მათ შორის – საქართველო. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ძნელია დავასახელოთ იმაზე უფრო მძიმე დრო, ვიდრე ალექსანდრე მესამის ხანა იყო. მისი ჩინოვნიკები აბუჩად იგდებდნენ ქართულ კულტურას და ისტორიას, ეროვნულ ტრადიციებს. აიკრძალა ქართული ენა, აიკრძალა თვით ჩვენი სამშობლოს სახელის ხსენებაც კი. ,,საქართველოს“ ნაცვლად გაზეთებს უნდა ეწერათ ,,თბილისის გუბერნია“ და ,,ქუთაისის გუბერნია“. ერთი სიტყვით, ქართველი ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დადგა. ასეთ ვითარებაში, ერის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, თავგანწირული ბრძოლა გააჩაღეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანმა მოღვაწეებმა, რომლებსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ჩაუდგნენ. რუსეთის უხეშ ძალადობას მათ დაუპირისპირეს სამშობლოს სიყვარული, რომელიც ყოველგვარ სისასტიკეზე ძლიერი აღმოჩნდა.

1881 წლის 27 აპრილს ილია ჭავჭავაძემ დაწერა ,,შინაური მიმოხილვა“, რომელშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმდროინდელი ეტაპის მთელი პროგრამაა ჩამოყალიბებული. დიდი ილია მოუწოდებდა ქართველ ახალგაზდობას, მიებაძა ჩეხების მაგალითისთვის და თავისი ცხოვრების უპირველეს საგნად ეროვნული თავისუფლების მოპოვება გაეხადა. აი, ილიას შესანიშნავი სიტყვები: ,,სლავიანებმა, რომელთა ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, თავისი ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად, თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდამ, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს, პოეზიის შემწეობით, დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისთვის თავდადებულობისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა, მოაგონეს ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანი დღენი წარსულისა. აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედაენა, ჟამთა ვითარებისგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო, რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზედ დადგა, ფრთა შეისხა. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან. აი, საგანი და აი, გზაც მისდა მიაღწევად, აი, რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილკაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარხმალით შეჭურვილი. ჩვენის მხრით, ამაზე უკეთეს საგანს, ამაზე უკეთეს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვა ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილკაცობას.“

აქედან სავსებით ცხადია, თუ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ერის წარსულის ცოდნას და პოეზიის საშუალებით იმ სახელოვანი ისტორიული გმირების სახეების გაცოცხლებას, რომლებმაც სამშობლოსათვის თავი დასდვეს. ზუსტად ასეთივე აზრისა იყო ამ საკითხზე აკაკი წერეთელიც და სწორედ ამით აიხსნება, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებში მან საქართველოს ისტორიის სიუჟეტებზე რამდენიმე ლიტერატურული თხზულება შექმნა.

1882 წლის ზაფხულში აკაკიმ კახეთში იმოგზაურა და ხალხის წინაშე არაერთი შესანიშნავი ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი სიტყვა წარმოთქვა. 17 აგვისტოს თელავის ინტელიგენციის მიერ მის საპატივცემულოდ გამართულ სადილზე აკაკიმ თქვა: ,,ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზე ფეხს ვერ დადგამთ, რომ ჩვენის წინაპრების ძვლებით არ იყოს გაპოხიერებული და მათ სისხლით დამბალი. ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვყვეს, და წვეთ ღვინოს ვერ ჩავყლაპავთ ისე, რომ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლიც არ ერიოს! ეს ლუკმა და წვეთი არიან ჩვენი „წმიდათა წმიდა“ ზიარება ჩვენთვის, რომელიც სიწმიდითა და სასოებით უნდა მივიღოთ ხოლმე და გვაგონებდეს წინაპართა ღვაწლსა და ჩვენც იმავე გზით მივემართებოდეთ, რა გზითაც მათ უვლიათ, მხოლოდ დროების შესაფერისად კი საჭირო არიან მეომარი გმირი-მამულიშვილები, იმავე გრძნობით და გონებით სრულნი, რა გრძნობითა და გონებითაც ჩვენი წინაპრები იმსჭვალებოდნენ.“ პოეტის ამ სიტყვების შემდეგ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ გაზეთმა ,,დროებამ“ მკითხველებს აუწყა: ,,ამ დღეებში ჩვენ დაგვატკბო აკაკიმ თავისი ახალი პოემის წაკითხვით. პოეტის ნიჭი, კილო ენისა და მშვენიერი ლექსთწყობა ცხადად იხატება პოემაში“. ასე დაიბადა პოემა ,,თორნიკე ერისთავი“ – ქართული პოეზიის შედევრი. არ გასულა დიდი ხანი და ,,თორნიკე ერისთავს“ გვერდში ამოუდგა კიდევ ერთი თხზულება – დრამატული პოემა ,,პატარა კახი“. ეს ორივე პოემა, ისევე როგორც აკაკის მრავალი სხვა ქმნილება, ქართველი ხალხის უსაყვარლეს ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის და დიდი ხანია ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული. ,,თუ რა გასაოცარი შთამაგონებელი ძალა ჰქონდა აკაკი წერეთლის პატრიოტულ პოეზიას – ამბობს გამოჩენილი ქართველი მწერალი *გერონტი ქიქოძე* – არა მარტო საღად მოაზროვნე ქართულ დემოკრატიაზე, არამედ ეროვნულად გადაგვარებულ ქართველ ახალგაზრდობის ნაწილზე, ჩანს, მაგალითად, ივ.ბუქურაულის ,,მოგონებიდან“, სადაც ავტორი გვიამბობს, რომ 15-16 წლამდე თავის თავს სრულიადაც ქართველად არ გრძნობდა და პიროვნულად ჩემში რაღაც სტიქიონურმა პატრიოტიზმმა იმ დღეს გაიღვიძა, როცა მასწავლებელმა კლასში ახლად გამოსული ,,თორნიკე ერისთავი“ წაგვიკითხაო. არაფერი არ შეედრებოდა იმ სიამოვნებას, რაც ამ კითხვის დროს განვიცადეო“. ასეთივე გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველსა და მაყურებელზე ,,პატარა კახი“, რომელიც თითქმის საუკუნეა, რაც ქართული თეატრის სცენას ამშვენებს და დღესაც საყოველთაო აღტაცებას იწვევს. ვინ იცის, რამდენ მამულიშვილს ათრთოლებია გული ამ დრამის გმირთა სიტყვებზე და რამდენ მათგანს გადაუწყვეტია, თავგანწირვით ებრძოლა სამშობლოს დასაცავად, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ერთი სიტყვით, ზედმეტია იმაზე სიტყვის გაგრძელება, რომ ,,თორნიკე ერისთავმაც“ და ,,პატარა კახმაც“ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში და, რომ, ამ მხრივ, მათი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის ფასდაუდებელია, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა, გაირკვეს კითხვა: რამდენად შეესაბამება ხსენებული პოემების შინაარსი ისტორიულ სინამდვილეს, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოემებში წარმოდგენილი ისტორიული ვითარება, გმირთა მოქმედება და სხვა, მარტო აკაკის ფანტაზიის ნაყოფია, თუ საქართველოს ისტორიული სინამდვილის მხატვრული ასახვაა? ამ საკითხის გარკვევას, ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ხსენებული პოემების ავ-კარგის გასაგებად, არამედ XIX საუკუნის ქართული რეალისტური ლიტერატურის მხატვრულ-მეთოდოლოგიური პრინციპების დასადგენად. კიტა აბაშიძე ეტიუდებში წერს: ,,აკაკი წერეთლის ისტორიული პოემა ,,თორნიკე ერისთავი“, ,,ბაგრატი“, დრამა ,,თამარა ცბიერი“ და ,,პატარა კახი“, მისი ,,ბაში-აჩუკი“ ერთი და იმავე აზრით აღსავსენი, სულ სამშობლოს ისტორიის იდეალიზაციაა და ამ მხრივ ისინი ნამდვილი რომანტიული ნაწარმოებები არიან და მარტო პოეტის პირადი შეხედულებების გამომსახველნი. ეს პოემები და დრამები, გვარწმუნებენ, რომ ძველი საქართველოს მზეზე არც ერთი შავი ლაქა არ ყოფილა, ყველანი მხნენი იყვნენ, გულადნი, მამაცნი, ყოველი სიკეთითა და მშვენებით აღსავსენი. ბერი ბერობას არ კადრულობს, პოლიტიკური მოღვაწეა და თავგანწირული მოწამე, მეფე ისე ადვილად სწირავს თავის გვირგვინთან ერთად თავის თავს და სკიპტრასთან ერთად – სულს სამშობლოსათვის, თითქოს ფლავის ჭამა გადაეწყვიტოს... ომში ყოველთვის ერთი ქართველი ათასზედ იმარჯვებს, სიბრძნეში და ომის ტაქტიკაში ქართველები სჯობიან. ეს ყველა გაზვიადებული და პოეტის ოცნებით შეფერადებული წარმოდგენაა სინამდვილისა“. რა უნდა ითქვას ასეთი ბრალდებების გამო ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ზემოთ მოტანილი მსჯელობა აშკარად უსაფუძვლოა, ამიტომ სავსებით ბუნებრვია, რომ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მან მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. მკვლევარებმა კარგად შეამჩნიეს ამ მსჯელობის ტენდენციურობა და საკმაოდ საფუძვლიანად გააკრიტიკეს იგი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კ.აბაშიძის თვალსაზრისი ჯერ კიდევ საბოლოოდ დაძლეული არ არის; საქმე ისაა, რომ აკაკის ზემოთ ხსენებული პოემების ისტორიული თვალსაზრისით განხილვა და შეფასება, თუ არ ვცდებით, ცოტას თუ უცდია, უამისოდ კი ძნელია გაირკვეს, რამდენად სწორადაა აკაკის პოემებში ასახული ისტორიული სინამდვილე.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ თორნიკე ერისთავი ისტორიული პიროვნებაა და მან ჩაიდინა ის გმირობა, რომელიც აკაკის პოემაშია აღწერილი, მის შესახებ საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები შემოგვინახა არა მარტო ქართულმა, არამედ სომხურმა ისტორიულმა წყაროებმაც. ამ ცნობების მიხედვით, ,,თორნიკე ერისთავი“ წარმოგვიდგება როგორც საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი სარდალი, რომელიც, სიბერის ჟამს, ბერად შედგა და მთაწმინდის მოსასტერში (საბერძნეთში) იმყოფებოდა. სწორედ ამ დროს ბიზანტიის კეისარს ბასილს, სარდალი სკლიაროსი აუჯანყდა და ტახტიდან ჩამოგდება დაუპირა. სასომიხდილმა კეისარმა და მისმა მეუღლემ დახმარებისათვის მიმართეს ტაო-კლარჯეთის ძლიერსა და გავლენიან მეფეს დავით კურაპალატს, რომელიც საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი ინიციატორი და უაღრესად პროგრესული მოღვაწე იყო: ,,დაწერეს წიგნები ვედრებისა და წარმოგზავნეს ქართველი თორნიკე, რომელ მყოფ იყო დიდსა და ლავრასა შინა მთაწმინდისასა, მონასტერსა დიდისა ათანასესა, დავით კურაპალატისა თანა, რათა შემწე ეყოს მათ“. დახმარების სანაცვლოდ კეისარი ბასილი დავითს დიდი ტერიტორიების დათმობას ჰპირდებოდა. დავით კურაპალატმა და მისმა მრჩეველებმა გადაწყვიტეს, კეისარს დახმარებოდნენ. მათ ,,განზრახვა ქმნეს“, რათა ლაშქარნი წარგზავნენ საბერძნეთს, და სპასალარად თორნიკე განაჩინეს... მისცა კურაპალატმან თორმეტი ათასი მხედარი რჩეული, და შეწევნითა ქრისტეისითა აოტნა სკლიაროსი და, ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარაქცია. და მერმე შეიქცა სიტყვისაებრ მეფეთასა და ტყვე ყვნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი, და მონაგები მათი თავარ-ყო. და რომელიმე ლაშქართა განუყო, და რომელნიმე თვით დაიმჭირნა ნატყუევანი ფრიადი და დიდძალი ოქრო და ვერცხლი, და სტავრა და სხუა ესევითარი. და უკუნ იქცა და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმადლა“. როგორც ვხედავთ, თორნიკე ერისთავის ის პორტრეტი, რომელიც აკაკის პოემაშია წარმოჩენილი, ისევე, როგორც ქართველთა თორმეტათასიანი ლაშქრის მიერ სკლიაროსის ჯარის სასტიკი შემუსვრის ამბავი, აკაკი წერეთლის ფანტაზიის ნაყოფი კი არაა, არამედ მთლიანად ისტორიულ ფაქტებს, რეალურ-ისტორიულ სინადვილეს ეყრდნობა. ამიტომ სრულიად უადგილოდ მიგვაჩნია კიტა აბაშიძის მსჯელობა. – ,,ბერი ბერობას არ კადრულობს, პოლიტიკური მოღვაწეა და თავგანწირული მოწამეო“. ამით კრიტიკოსს სურს აკაკი წერეთლს წარსულის გადაჭარბებული იდეალიზაცია უსაყვედუროს, მაგრამ არავითარი იდეალიზაცია აქ არ არის: საქართველოს ისტორია სავსეა ისეთი მაგალითებით, როცა ბერები, და, საერთოდ, სასულიერო პირები, პოლიტიკურ მოღვაწეებად გამოდიოდნენ და სამშობლოს ინტერესებს არა მარტო სიტყვით, არამედ ხმლითაც იცავდნენ. სწორედ ამიტომ ამბობს მათ შესახებ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი *ნიკო ბერძენიშვილი:* „ისინი მხოლოდ მშვიდობიანი, მლოცველი ბერ-მონაზვნები როდი არიან. ისინი აქტიური პოლიტიკურო მოღვაწენი არიან, ქვეყნის პოლიტიკური მშენებლები. სწორედ მათ ასწავლეს დიდაზნაურებს (მაგალითი მისცეს), თუ როგორ უნდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მათ გადააყენეს სუსტი გიორგი II, დავითის მამა, და უსასტიკესი ომი გამოუცხადეს ,,მტრებს“ შინაურთ თუ გარეულთ“. სავსებით შეესაბამება საქართველოს ისტორიის სიუჟეტებზე რამდენიმე ლიტერატურული თხზულება შექმნა.

1882 წლის ზაფხულში აკაკიმ კახეთში იმოგზაურა და ხალხის წინაშე არაერთი შესანიშნავი ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი სიტყვა წარმოთქვა. 17 აგვისტოს თელავის ინტელიგენციის მიერ მის საპატივცემულოდ გამართულ სადილზე აკაკიმ თქვა: ,,ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზე ფეხს ვერ დადგამთ, რომ ჩვენის წინაპრების ძვლებით არ იყოს გაპოხიერებული და მათ სისხლით დამბალი. ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვყვეს, და წვეთ ღვინოს ვერ ჩავყლაპავთ ისე, რომ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლიც არ ერიოს! ეს ლუკმა და წვეთი არიან ჩვენი „წმიდათა წმიდა“ ზიარება ჩვენთვის, რომელიც სიწმიდითა და სასოებით უნდა მივიღოთ ხოლმე და გვაგონებდეს წინაპართა ღვაწლსა და ჩვენც იმავე გზით მივემართებოდეთ, რა გზითაც მათ უვლიათ, მხოლოდ დროების შესაფერისად კი საჭირო არიან მეომარი გმირი-მამულიშვილები, იმავე გრძნობით და გონებით სრულნი, რა გრძნობითა და გონებითაც ჩვენი წინაპრები იმსჭვალებოდნენ.“ პოეტის ამ სიტყვების შემდეგ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ გაზეთმა ,,დროებამ“ მკითხველებს აუწყა: ,,ამ დღეებში ჩვენ დაგვატკბო აკაკიმ თავისი ახალი პოემის წაკითხვით. პოეტის ნიჭი, კილო ენისა და მშვენიერი ლექსთწყობა ცხადად იხატება პოემაში“. ასე დაიბადა პოემა ,,თორნიკე ერისთავი“ – ქართული პოეზიის შედევრი. არ გასულა დიდი ხანი და ,,თორნიკე ერისთავს“ გვერდში ამოუდგა კიდევ ერთი თხზულება – დრამატული პოემა ,,პატარა კახი“. ეს ორივე პოემა, ისევე როგორც აკაკის მრავალი სხვა ქმნილება, ქართველი ხალხის უსაყვარლეს ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის და დიდი ხანია ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული. ,,თუ რა გასაოცარი შთამაგონებელი ძალა ჰქონდა აკაკი წერეთლის პატრიოტულ პოეზიას – ამბობს გამოჩენილი ქართველი მწერალი *გერონტი ქიქოძე* – არა მარტო საღად მოაზროვნე ქართულ დემოკრატიაზე, არამედ ეროვნულად გადაგვარებულ ქართველ ახალგაზრდობის ნაწილზე, ჩანს, მაგალითად, ივ.ბუქურაულის ,,მოგონებიდან“, სადაც ავტორი გვიამბობს, რომ 15-16 წლამდე თავის თავს სრულიადაც ქართველად არ გრძნობდა და პიროვნულად ჩემში რაღაც სტიქიონურმა პატრიოტიზმმა იმ დღეს გაიღვიძა, როცა მასწავლებელმა კლასში ახლად გამოსული ,,თორნიკე ერისთავი“ წაგვიკითხაო. არაფერი არ შეედრებოდა იმ სიამოვნებას, რაც ამ კითხვის დროს განვიცადეო“. ასეთივე გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველსა და მაყურებელზე ,,პატარა კახი“, რომელიც თითქმის საუკუნეა, რაც ქართული თეატრის სცენას ამშვენებს და დღესაც საყოველთაო აღტაცებას იწვევს. ვინ იცის, რამდენ მამულიშვილს ათრთოლებია გული ამ დრამის გმირთა სიტყვებზე და რამდენ მათგანს გადაუწყვეტია, თავგანწირვით ებრძოლა სამშობლოს დასაცავად, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ერთი

ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘᲪᲘᲐ

ისტორიულ სინამდვილეს მეფე დავით კურაპალატის აკაკისეული დახასიათებაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დავით კურაპალატი იყო დიდი პროგრესული მოღვაწე, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანების საქმეში. დავითი ძლევამოსილ ომებს აწარმოებდა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ და ათავისუფლებდა მათი ბატონობისაგან ქართველ და სომეხ მოსახლეობას. ამით აიხსნება, რომ მას დიდი ქებით იხსენიებენ არა მარტო ქართველი, არამედ სომეხი ისტორიკოსებიც. აი, მაგალითად, რას წერდა ცნობილი სომეხი მემატიანე სტეფანოზ ტარონელი: ,,დიდი კურაპალატი დავითი ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესიერება ყველა აღმოსავლეთის ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. მან შესწყვიტა ომები, რომლებიც გამუდმებით ჩნდებოდა ყოველი მხრიდან და გაიმარჯვა ყველა გარშემო მცხოვრებ ხალხზე“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ პოემაში ,,თორნიკე ერისთავი“ სავსებით სწორად და რეალისტურად არის გადმოცემული ისტორიული სინამდვილე. აკაკიმ არა მარტო გამოჩენილი ისტორიული პიროვნებების – დავით კურაპალატისა და თორნიკე ერისთავის – შესანიშნავი რეალისტური პორტრეტები დაგვიხატა, არამედ ქართველი ხალხისა და მისი რჩეული ლაშქრის დაუვიწყარი გმირობაც სინამდვილესთან სრული შესაბამისობით აღწერა.

ზუსტად ასეთივე ვითარებაა პოემაში „პატარა კახი“. ვინც ოდნავ მაინც იცნობს გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიას, ის უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ამ პოემაში მხატვრულად ასახული ომი უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ და ქართველი ხალხის თითქმის ყველა ფენის საუკეთესო წარმომადგენელთა თავდადებული ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, უაღრესად დამახასიათებელია იმ ეპოქის საქართველოს ცხოვრებისათვის. ამიტომ გვაოცებს კიტა აბაშიძის შენიშვნა: „მეფე ისე ადვილად სწირავს თავს სამშობლოსათვის, თითქოს ფლავის ჭამა გადაეწყვიტოსო“. ფლავის ჭამისა კი რა მოგახენოთ, მაგრამ გამოჩენილი ქართველი მეფეები და, მათ შორის, პირველ რიგში, პატარა კახი, რომ სამშობლოსათვის თავის გაწირვას არ ერიდებოდნენ, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და რატომ მიაჩნდა იგი დაუჯერებლად ისეთ ცნობილ კრიტიკოსს, როგორიც კიტა აბაშიძე იყო, ძნელი ასახსნელია.

უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია კ. აბაშიძის მსჯელობა აგრეთვე იმის შესახებ, რომ თითქოს, აკაკის მიხედვით, „ერთი ქართველი ათასზედ იმარჯვებდა“ და რომ ქართველები „ყველანი მხნენი, გულადნი, მამაცნი ყოველი სიკეთით და მშვენებით აღსავსენი იყვნენ“. მართალია, თორნიკე ერისთავის მხედრობა, რომელმაც სკლიაროსის ლაშქარი დაამარცხა, შედარებით მცირე იყო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ესენი იყვნენ დავით კურაპალატის ძლევამოსილი არმიის რჩეული ვაჟკაცები,

აკაკის პოემებში

ომებში გამოცდილნი და მაღალი დისციპლინის მქონენი, რომლებსაც წინ უნიჭიერესი სარდალი მიუძღოდათ. რაც შეეხება სკლეაროსის ბანაკს, შესაძლოა მისი ლაშქარი ქართველებზე რიცხობრივად რამდენჯერმე მეტი იყო, მაგრამ ეს იყო კანონიერი მეფის (კეისრის) წინააღმდეგ ფეოდალთა ლაშქარი, რომელიც უსამართლო, ძმა-

თა მკვლელ ომს აწარმობდა და ქვეყნის ძარცვა-გლეჯით იყო გართული. ასეთ ლაშქარს, ცხადია, არ შეიძლებოდა მაღალი ბრძოლის უნარიანობა ჰქონოდა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ბიზანტიაში კეისარი ღმერთთან იყო გათანაბრებული და მის წინააღმდეგ ბრძოლა, ხალხის თვალში, ღვთის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სკლიაროსის ლაშქარი დამძიმებული იყო უამრავი ნაძარცვი ქონებით, რაც ხელს ვერ შეუწყობდა ჯარისკაცთა ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. შემთხვევითი როდია, რომ მემატიანე ხაზგასმით მიუთითებს ბიზანტიელ დიდებულთა იმ აურაცხელ სიმდიდრეზე (მონაგებზე), რომელიც თორნიკე ერისთავმა ნაწილობრივ იავარყო, ხოლო ნაწილობრივ ნადავლის სახით წამოიღო.

დავით კურაპალატი, როგორც ჩანს, ძალიან კარგად იცნობდა ბიზანტიაში იმ დროს შექმნილ ვითარებას, იცოდა სკლიაროსის ლაშქრის მდგომარეობაც და ამიტომ იყო, რომ მის წინააღმდეგ შედარებით მცირე ლაშქარი გაგზავნა. აკაკი წერეთელი მშვენივრად ითვალისწინებს ყოველივე ამას და, ამიტომაა, რომ მას სრულიადაც არ მიაჩნია დაუჯერებელ ამბად 12 ათასიანი ლაშქრის მიერ (რომელთაგან 5 ათასი ბრძოლის ველზე დაეცა) სკლიაროსის მრავალრიცხოვანი ლაშქრის დამარცხება. კ.აბაშიძეს ისიც საეჭვოდ მიაჩნია, რომ „სიბრძნითა და ომის ტაქტიკით“ მოწინააღმდეგეს ქართველები სჯობდნენ, მაგრამ ასე რომ არ ყოფილიყო, როგორღა შეძლებდა მცირერიცხოვანი ქართული ლაშქარი მასზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი მტრის დამარცხებას?! აკაკი წერეთელი განსაკუთრებით დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გადმოგვცემს ომის სურათებს, მკითხველს ხიბლავს და იტაცებს საომარი მოქმედების დინამიკური განვითარება, ის თითქოს ხედავს კიდევაც ცხენოსანი ჯარის პირისპირ შეჯახებას და ესმის მათი ხმლების ჯახაჯუხი. „თორნიკე ერისთავი“ შესანიშნავი რეალისტური პოემაა, რომელშიც დიდი მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული ისტორიული სინამდვილე. მასში არ მოიპოვება არცერთი ყალბი, ან მხატვრული, არაბუნებრივი, ნაძალადევი ადგილი. ამიტომ გაუძლო ამ პოემამ დროის გამოცდას და გადაიქცა ხალხის საყვარელ უკვდავ ნაწარმოებად.

რაც შეეხება კ.აბაშიძის მტკიცებას, თითქოს აკაკის მიერ დახატული იტორიული გმირები ყველანი იდეალურად უნაკლონი იყვნენ, ესეც აშკარა გაუგებრობის ნაყოფია. ნუთუ კრიტიკოსმა ვერ შენიშნა ის უარყოფითი ტიპები, – მეფისა და ხალხის მოღალატენი, რომლებიც აკაკის არაერთ ისტორიულ ნაწარმოებში, მათ შორის „პატარა კახშია“ წარმოდგენილი?

ვინ არიან, მაგალითად, თავადები რევაზ ბებურიშვილი და მისი ძმა ნოდარი, აგრეთვე მისი მსახური თედო რამაზაშვილი, თუ არა საზიზღარი მოღალატენი? ნოდარ ბებურიშვილი ომის დროს მტრის მხარეზე გადავიდა, რისთვისაც პატრიოტებმა მოჰკლეს, ხოლო რევაზმა, ჯერ უმწეო ქალი გაიტაცა და შეურაცხყო „რაშიც მას აქტიურად დაეხმარა მისივე გადაგვარებული მსახური თედო რამაზაშვილი“, ხოლო შემდეგ მტერთან პირისპირ, ორთაბრძოლაში გასული გმირი ლევან ქვაბულაძე მუხანათურად, ზურგიდან მიპარვით, მოკლა. განა შეიძლება ამის შემდეგ ობიექტურმა მკვლევარმა თქვას, – აკაკიმ ყველა ისტორიული გმირი ანგელოზებად წარმოგვიდგინაო? ცხადია, არ შეიძლება! ამრიგად, ნათელია, რომ აკაკი წერეთელმა თავის პოემებში სწორად ასახა ისტორიული სინამდვილე და დაუმახინჯებლად გადმოგვცა ძველი საქართველოს ცხოვრების სურათები. მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, თითქოს აკაკიმ წარსულის მოვლენები, უბრალოდ, ისტორიული წყაროებიდან გადმოიწერა. აკაკი უდიდესი შემოქმედი იყო და თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ეპოქის მოწინავე იდეებს ეყრდნობოდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ წყაროებში ლაკონურად აღწერილ ისტორიულ მოვლენებს იგი თავისი ნიჭის წყალობით აცოცხლებდა და აღრმავებდა, რათა უფრო სრულყოფილად გადმოეცა გარდასულ დროთა ცხოვრების მაჯისცემა. ამ გარემოებით აიხსნება, რომ აკაკის ისტორიულ პოემებს, სრულიად გარკვევით, აზის მათი ავტორის მოწინავე მსოფლმხედველობის ბეჭედი.

სკლიაროსთან გამარჯვების შემდეგ საქართველომ ბიზანტიისაგან საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, ე.წ „ზემონი ქვეყანანი“ მიიღო, თორნიკე ერისთავს კი ხელში ჩაუვარდა დიდი სამხედრო ნადავლი. გმირი სარდლის დახასიათებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ როგორ მოიხმარა მან ეს აურაცხელი სიმდიდრე. ისტორიული წყაროების მიხედვით, თორნიკე ერისთავმა სიმდიდრის ერთი ნაწილი მხედრებს გაუნაწილა, ხოლო მეორე ნაწილი – მთლიანად მთაწმინდის იმ მონასტერს შესწირა, რომელშიც იგი ბერად იყო შემდგარი. ამ მონაგებით შემდეგში აშენდა ათონის ივერიის მონასტერი, – ქართული კულტურის დიდებული კერა. ამ ნადავლის განაწილების ამბავს გიორგი ათონელი შემდეგნაირად გადმოგვცემს: თორნიკე ერისთავმა „ტყუე ყვნა

სცენა სპექტაკლიდან „პატარა კახი„

ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარყო და რომელიმე ლაშქართა განუყოფდა და რომელიმე თვით დაიმჭირა ფრიადი და დიდძალი: ოქრო და ვერცხლი და სტავრა და სხვა ესევითარი... თორნიკე მოიქცა ურიცხვთა საფასითა და განძითა... რომელი იგი ყოველივე მამისა თვისისა სულიერისა იოვანეს ხელთა მისცა და თავი თვისი სრულიად უარყო და არცა თუ მცირედი რაიმე დაუტევა ხელმწიფებასა ქვეშე თვისსა“. აკაკი წერეთელს საჭიროდ დაუნახავს წყაროს ამ ჩვენებაში გარკვეული კორექტივი შეეტანა, რათა უფრო სრულყოფილად ეჩვენებინა მთავარ გმირთა ხასიათები, მათი კეთილშობილება. პოემის მიხედვით, თორნიკე ერისთავმა თავისი კუთვნილი სიმდიდრე მთლიანად მეფე დავით კურაპალატს მიართვა და ასე მოახსენა: ეს სიმდიდრე ქვეყნისაა, ამიტომ ნახევარი თქვენთვის მომიძღვნია, საქვეყნო საქმეს მოახმარეთ, ხოლო მეორე ნახევარი – ქვრივ-ობლებსა და ღატაკებს დაურიგეთო. ამ წინადადებაზე „მეფემ უთხრა: – გმადლობ, ვიცი, ქვრივ-ობლები, რომ გიყვარს, მათ ჰქონდეს და მე კი ჩემთვის არ ავიღებ არც ნახევარსო“. აქედან სავსებით ცხადია, თუ რატომ დასჭირდა აკაკის, წყაროს ჩვენებაში, კორექტივის შეტანა: მას სურდა მკითხველისთვის ეთქვა, რომ გმირი მოვალეა, პირველ რიგში, ამ ქვეყნის გაჭირვებულ ადამიანებზე, ქვრივ-ობლებსა და ღატაკებზე იზრუნოს, ხოლო ეკლესია-მონასტრების აშენება და საიქიო ცხოვრებისათვის ზრუნვა, თუმცა საპატიო საქმეა, მაგრამ მაინც მეორე რიგის ამოცანააო. საკითხის ამგვარი დაყენება სავსებით შეესაბამება აკაკის მსოფლმხედველობას, მაგრამ ხომ არ არის იგი ისტორილი სინამდვილის გამრუდება?

ცნობილია, რომ ფეოდალურ საქართველოში ქვრივ-ობლებსა და ღატაკებზე ზრუნვა მეფეთა და გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა, განსაკუთრებით კი სასულიერო პირთა საპატიო საქმედ ითვლებოდა. ასეთი ქველმოქმედება ფეოდალური საზოგადოების შინაგანი ვითარებით და ღატაკთა სიმრავლით იყო გამოწვეული, რის გამოც, დიდ სახელმწიფოებრივ და, ამავე დროს, კეთილშობილურ საქმედ იყო მიჩნეული. თამარ მეფის დროს ოფიციალურადაც იყო დაკანონებული, რომ გლახაკთათვის სახელმწიფოს მთელი შემოსავლის მეათედი მიეცათ და აძლევდნენ კიდეც. ნათქვამიდან ცხადია, რომ აკაკის სრული უფლება ჰქონდა გამოეგონებინა თორნიკე ერისთავისა და დავით კურაპალატის დიალოგი, რომელშიც გარკვევით გამოჩნდებოდა ამ სახელოვან ადამიანთა სიყვარული ქვრივ-ობლებისა და ღატაკების მიმართ. წყაროს ჩვენების ასეთი გამდიდრებით, პოეტმა კიდევ უფრო გააკეთილშობილა ორივე გმირის ხასიათი და, ამავე დროს, უფრო სრულყოფილად გადმოგვცა ეპოქის სული. მაგრამ აკაკი წერეთელმა ისიც კარგად იცოდა, რომ ისტორიული ფაქტის შეცვლა არ შეიძლებოდა. სწორედ ამით აიხსნება ისიც, რომ მან პოემაში გამოიყვანა მესამე გმირი – ყოველი სიკეთით შემკული ბერი-გაბრიელი, რომელიც გაბედულად ჩაერია მეფისა და მისი სარდლის საუბარში და მოითხოვა, რომ თორნიკეს მიერ მოტანილი სიმდიდრე გადასცენ მთაწმინდას, ააშენონ იქ ამ სახსრებით ახალი მონასტერი და ამით აანთონ „ლამპარი მეცნიერებისა და მწიგნობრობისა“. ეს აზრი მოეწონა მეფეს და განძი თორნიკეს ხელით გაგზავნეს მთაწმინდას, ე.ი. მოხდა სწორედ ისე, როგორც ამას ისტორიული წყაროს ჩვენება მოითხოვდა. ამრიგად, როგორც ვხედავთ, აკაკიმ უბრალოდ კი არა გადაიწერა მემატიანის ჩვენება, არამედ შემოქმედებითად გადაამუშავა იგი, რითაც გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ისტორია, თუმცა ისტორიული წყაროს ჩვენება ოდნავადაც არ შეუცვლია. ისტორიული სინამდვილისადმი შემოქმედებითი მიდგომის ნიმუშად ჩაითვლება აგრეთვე თორნიკე ერისთავის საუბარი კათალიკოს-არსენთან, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოემის დედააზრის გასაგებად. მემატიანის ცნობით, თორნიკე ერისთავს არ სურდა სკლიაროსის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღება, რადგან ომი და სისხლისღვრა, მისი აზრით, არ შეეფერებოდა ღვთისმსახურ ბერს, მაგრამ ათონის წმინდა მამებმა, რომლებიც პოლიტიკური მოტივებით და სამშობლოს ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, აიძულეს იგი სათავეში ჩადგომოდა სკლიაროსის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველთა ლაშქარს. აკაკი წერეთელს საჭიროდ დაუნახავს მემატიანის ეს ცნობაც შემოქმედებითად გადაემუშავებინა და გაეღრმავებინა, რისთვისაც მას პოემაში კათალიკოსი შემოჰყავს. ყოვლად სამღვდელომ თავისთან იხმო თორნიკე და მათ შორის გაიმართა უაღრესად საინტერესო საუბარი, საიდანაც გარკვევით ჩანს არა მარტო ის, თუ რა აზრისა იყო აკაკი სასულიერო წოდების დანიშნულებაზე, არამედ ისიც, თუ რა შესანიშნავად იცოდა მან საქართველოს ისტორია. თორნიკე ერისთავი ომში მონაწილეობაზე უარს ამბობდა იმ მოტივით, რომ ის უკვე ბერია, ღვთისმსახურია, ამიტომ მისი „ცოდვილი სული ზეცას ეკუთვნის“ და „აღარ შეჰფერის, რომ ხელმეორედ ფარ-ხმალი სისხლით შეღებოს“. ამის პასუხად აკაკი წერეთელმა კათალიკოსს უაღრესად გაბედული სიტყვები ათქმევინა:

„ნუთუ შენ მართლა, რამე გგონია
ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება?
განა ღვაწლია ხორციელისგან
ამა სოფლისა კრძალვა-რიდება?
და ეს ქვეყანა მშვენებით სავსე,
შემოქმედების გამომხატველი,
ნუთუ მიტომ გვაქვს მონიჭებული,
რომ ჩვენის ნებით ავიღოთ ხელი?...
საქმეა, მხოლოდ საქმე საჭირო,
გულიცა წმინდად დაბადებული
და ქვეყნიურის კეთილ ზრახვებით
სრული სიწრფელით გახელებული!...
ეს არის მხოლოდ ქრისტეს მოძღვრება
საქრისტიანო ეს არის ვალი!
და ვინც ამატებს ამაზე სხვებსაც,
დაბნეული აქვს მას გზა და კვალი“...

აქ მკითხველს უთუოდ მოაგონდება ილიას „განდეგილის“ ის ადგილი, სადაც მეუდაბნოე ბერი და მწყემსი ქალი საიქიო და სააქაო ცხოვრების ურთიერთობაზე საუბრობენ, ოღონდ აქ მწყემსი ქალის თვალსაზრისს თვით პირველი მღვდელთმთავარი კათალიკოსი გამოთქვამს. ილიას და აკაკის შეხედულებების ასეთი ურთიერთდამთხვევა სრულიად ბუნებრივია, რადგან ორივენი ერთი და იმავე იდეოლოგიის წარმომადგენლები არიან: „განდეგილობას უარყოფენ და სიცოცხლეს უმღერიან. ბუნებრივია, იბადება კითხვა: ხომ არ ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს ის ფაქტი, რომ ასეთ პროგრესულ აზრებს თვით კათალიკოსი ქადაგებს? განა შესაძლებელია, რომ ქართული ეკლესიის მეთაური ბერობისა და განდეგილობის ღვთაებრივ იდეას ამქვეყნიური ცხოვრების ყოველდღიურ საჭირბოროტო საქმეებზე დაბლა აყენებდეს და ღვთისმსახურ ბერს სისხლისღვრისკენ მოუწოდებდეს? ამ კითხვაზე მართებული პასუხის გასაცემად აუცილებელია გავითვალისწინოთ სასულიერო წოდების სოციალური შემადგენლობა, როგორც, საერთოდ, ქრისტიანულ ქვეყნებში, ისე ჩვენთან, საქართველოში. ცნობილია, რომ ევროპის ძირითად სახელმწიფოებში სასულიერო წოდება, რომელიც ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიას იცავდა, არსებითად ორი კლასისაგან შედგებოდა: უმაღლესი არისტოკრატიისა, რომელსაც ეკლესიის მთელი სიმდიდრე ეკუთვნოდა და დაბალი წოდებისგან, რომელსაც ქალაქისა თუ სოფლების ღარიბი მღვდელ-დიაკვნები შეადგენდნენ. ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოშიც. დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა და მისმა გამოჩენილმა მოწაფეებმა – სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთეს ის აზრი, რომ სასულიერო დიდკაცობას შუასაუკუნეების საქართველოშიც უპირისპირდებოდნენ უბრალო წარმოშობის პროგრესულად მოაზროვნენი, რომლებიც სასულიერო წოდების ღარიბი ნაწილის სულისკვეთებასა და შეხედულებებს გამოხატავდნენ. საკმარისია გავიხსენოთ გიორგი ათონელის, ლეონტი მროველის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, ნიკოლოზ გულაბერიძის, გიორგი და ანტონ ჭყონდიდელების და სხვა გამოჩენილ სასულიერო პირთა სახელები, რათა ნათელი გახდეს, რომ შუასაუკუნეების ქართულ ეკლესიაში არისტოკრატიასთან ერთად მოღვაწეობდა პროგრესისა და კულტურის მსახურთა მთელი დასი, რომელიც მთავარ მიზნად ადამიანთა ამქვეყნიური ცხოვრების გარდაქმნასა და გაუმჯობესებას ისახავდა. ნათქვამიდან ცხადია, რომ აკაკი წერეთელს სრული უფლება ჰქონდა მხატვრულ ნაწარმოებში გამოეყვანა პროგრესულად მოაზროვნე კათალიკოსი, რომელიც თავისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს საიქიო ცხოვრების ინტერესებზე მაღლა აყენებდა და სწორედ ამიტომ თორნიკე ერისთავს სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ასევე სრული უფლება ჰქონდა აკაკის „პატარა კახში“ გამოეყვანა გლეხთა ჯარის მამაცი მეთაური გიორგი, იგივე გელა ხმალაძე, რომელსაც ომში სამი ვაჟიშვილი მოუკლეს, თვითონაც დაბრმავდა, მაგარმ მაინც თავგამოდებით იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. სწორედ ამ ბრმა მოხუცმა მოამზადა და უაღრესად კრიტიკულ ეპიზოდში პატარა კახს მიაშველა გლეხთა მთელი ლაშქარი, რომელმაც ომის ბედი ქართველების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამ ომში პატარა კახმა დიდი გმირობა გამოიჩინა, მაგრამ მოწინააღმდეგეების ჭარმბა ძალებმა მაინც სძლიეს ქართველებს და მტრებით გარშემორტყმული ერეკლე უკვე თავის მოკვლაზე ფიქრობდა:

„მაგრამ მოგვესმა შორით გუგუნი,
ხმა „ჰკა მაგასა“ და ზედ ყიჟინა,
მოზღვავდა უცბად სულ გლეხკაცობა,
მტერს მიესია და დაუშინა!
შეიქმნა ქვების ზუზუნ-ზუზუნი,
თოხის და კეტის გაჩნდა ტრიალი,
ამ უცნაურმა სანახაობამ
მტერს წაუხდინა გული და თვალი.
დაჰყარეს შიშით მათი ფარ-ხმალი,
მხოლოდ სიცოცხლეს გვევედრებოდნენ
და გასაქცევი გზა რომ არ ჰქონდათ,
ალაზანშიაც კი ვარდებოდნენ“.

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ პოემაში ამ ეპიზოდის შეტანა დამოუკიდებლად იმისა, მართლა მოხდა ასეთი ამბავი თუ იგი ავტორის გამოგონილია, მოწმობს პოეტის მიერ იმ მაღალი აზრის აღიარებას, რომლის მიხედვით ისტორიაში გადამწყვეტ როლს ხალხთა მასები ასრულებდა და რომ სწორედ უბრალო ხალხია ისტორიის შემოქმედი, მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა. აქედან თავისთავად ცხადია, თუ რატომ მიაჩნდა აკაკი წერეთელს ხალხის სამსახური პოეზიის უმაღლეს დანიშნულებად. ხალხი და სამშობლო იყო დიდი პოეტის სიყვარულის მთავარი საზრუნავი და სწორედ მათი ბედნიერებისა და თავისუფლებისთვის უხმობდა იგი გარდასულ დროთა სახელოვან გმირებს.

იოსებ ნებაძე

„მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ“, – უთქვამს ერთ ქართველ პოეტს და იოსებ ნებაძესაც შეეძლო მსგავსი რამ ეთქვა თავის თავზე. ის კარგ ლექსებს წერდა და კარგი დეკლამატორიც იყო. მისგან ისიც გამიგონია, რომ პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს მოსწონებია მისი ლექსების „გამართული ქართული“...

იოსებ ნებაძე კარგა ხანს ვერ ახერხებდა ლექსების კრებულის გამოცემას, ალბათ, საბჭოური ცენზურის გამოო, – იკითხავს მკითხველი, მაგრამ მის ლექსებს არაფერი სჭირდა საცენზურო თუ საცენზორო. უბრალოდ, მაშინ ძნელი იყო წიგნების გამოცემა. აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენ, მე და იოსები, ახლო ნათესავები (ბიძაშვილ-მამიდაშვილები) ვიყავით და ერთმანეთს ველექსებოდით ხოლმე. სწორედ იმ ხანებში გავეხუმრე მას ამ ერთსტროფიანი ექსპრომტით:

შენი ლექსი არსად არ ჩანს,
რომ გამოჩნდეს, ძალზე ვეჭვობ, –
თბილისელებს რა გადარჩათ,
რომ შენ ლექსი დაგიბეჭდონ!

გამოხდა ხანი და იოსებ ნებაძემ, როგორც იქნა, „მოაწონა“ თავი გამომცემლებს – 1970 წელს გამოვიდა მისი პატარა წიგნი – „სიცოცხლე მეძახის“, რომელსაც პატარა წერილითვე გამოვეხმაურე რესპუბლიკური გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

საქართველო, მესხეთი, რუსთაველი, სიყვარული, მეგობრობა – ასეთია ამ წიგნის თემატიკა ძირითადად. წიგნის ავტორს ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს თითქმის ყველა კუთხე-კუნჭული და ამიტომ ერთნაირად ეალერსებოდა მშობლიურ მესხეთს, „ქართლის ველებს“, ყურნით „დათაფლულ კახეთს“, ცისარტყელასავით აფერადებულ იმერეთს, საქართველოს ზღვისპირეთს, აფხაზეთს, რიწას... და, რა თქმა უნდა, დედა-თბილისს!

ჩემი სიცოცხლე მე შენთვის მინდა,
და რა განძიც მაქვს გულში ფარული, –
ბევრი რამ მიყვარს ამქვეყნად წმინდა,
შენ კი მიყვარხარ სხვა სიყვარულით...
დათაფლებულო კახეთის რთველო,
თქვენ შემოგევლეთ, ქართლის ველებო! –
მე ვერ ვიცოცხლებ უსაქართველოდ
და საქართველო – უქართველებოდ!

აქსიომასავით ჟღერენ ეს სტრიქონები ლექსიდან „სამშობლო“. ასეთივე გრძნობით არის განმსჭვალული ლექსი „თბილისისადმი“. პოეტი გაკვირვებულია ჩვენი დედაქალაქის სიძველეებით, გამძლეობით, ცხოველმყოფელობით: „შენ ერთი იყავ, მტერი – ათასიო“, – ამბობს და იქვე ამატებს:

კაცი უგულოდ ვერ იარსებებს
და საქართველო, დედავ, უშენოდ!

იოსებ ნებაძეს არაერთი ლექსი აქვს დაწერილი მესხეთსა და რუსთაველზე, მას ვერ წარმოუდგენია საქართველო მესხეთის გარეშე. რუსთაველისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში ამბობს:

დედა-მესხეთი ქცეულა ბაღად,
წინათ რომ სჩქეფდა სისხლი ტბორებად...
მოვა ზღვა ხალხი სიმღერით, ლაღად
და შენს ნააკვნარს ეამბორება!..

აკი მოვიდა კიდეც! – 1966 წლის სექტემბერში, ხანდაზმულ ადამიანებს კარგად ემახსოვრებათ, მართლაც მოვიდა „ზღვა ხალხი“ რუსთაველის 800 წლისთავზე.

ახალციხეში, რუსთავში, ასპინძაში, ვარძიაში დიდი ხალხმრავლობა იყო. მესხეთი ღირსეულად მასპინძლობდა თბილისიდან, საქართველოს რაიონებიდან, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან იუბილეზე მობრძანებულ მწერლებს, მეცნიერებს, რუსთველოლოგებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს.

იოსებ ნებაძე, რომელსაც არაერთი ლექსი და ლექცია ჰქონდა წაკითხული ადგილობრივ მოსახლეობაში რუსთაველზე, მაშინ იმითაც იყო ნასიამოვნები, რომ იმ არნახულ ზეიმზე კომპოზიტორ შალვა მშველიძის მიერ მის ლექსზე („ძველო მესხეთო, ქებულო მხარევ“) დაწერილი სიმღერის ხმაც გაისმა...

დიდი ზარ-ზეიმით ჩაიარა შოთას იუბილემ და თითქოს ყველამ ერთად ვალი მოვიხადეთ ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ჩაცხრა, დაისვენა ყველამ და ყველაფერმა... გარდა იოსებ ნებაძისა...

ამ ქვეყანაზე ყველა ისვენებს,
ზღვა და პოეტი კი - არასოდეს.

„მესხ მელექესეს“ მართლაც ჰქონდა მიზეზი „არდასვენებისა“ თუ მოუსვენრობისა. ესაა ჩვენი მოუშუშებელი ჭრილობა – ტაო-კლარჯეთ-ლაზეთი, რომელიც 100 წლის წინათ დავკარგეთ და რომლის დაბრუნებაც მიუწვდომელ ოცნებად გვაქვს გადაქცეული ქართველებს:

არტანუჯს ძველი აღარ დგას კოშკი,
გოდებს შატბერდი, ხანძთა, ხახული...
ცრემლად იღვრება ტაძარი ოშკის,
ვერ დავინახეთ იქ გაზაფხული!

იოსებ ნებაძე არც ფერეიდანს ივიწყებს: „გულდათუთქულ ფერეიდანს გული უცემს თუ არ უცემსო“ – კითხულობს ერთ ლექსში. ფერეიდანი არასოდეს ყოფილა საქართველოს ტერიტორია, მაგრამ ქართველთა სისხლისმსმელი შაჰ-აბასის მიერ იქ ტყვედ წაყვანილ კახელთა შთამომავალნი ცხოვრობენ დღესაც. ისინი 400 წელზე მეტია მოწყვეტილი არიან ისტორიულ სამშობლოს და, მადლობა ღმერთს, დროდადრო ახერხებენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ჩამოსვლას, ზოგიერთი მათგანი კი სამუდამოდ დაუბრუნდა თავის სააკვნე-საძირკველს – საქართველოს.

ლირიკა, მით უფრო სატრფიალო, პოეტების მარადგაუხუნარი თემაა და ამ თემისათვის არც იოსებ ნებაძეს აუვლია გვერდი. მესხ პოეტს არაერთი ლექსი აქვს დაწერილი მშვენიერთა სქესის მისამართით. აი, თუნდაც, ერთი, შეიძლება ითქვას, გულუბრყვილო და ალალმართალი ლექსი „ნაირა“, რომელსაც ჩვენივე მოგონილი „მელოდია“ მოვარგეთ და წავიმღერებთ ხოლმე:

იხარე, რა დილა თენდება,
ჩემი მზე შენსავით იცინის, –
სიტურფე, სინაზე გშვენდება,
შეხედე, მოსულან ისინიც.
დაგვასწრეს, დაგვასწრეს, ნაირა,
მერცხლებმა სიმღერის დაწყება...
ბუნება ქცეულა შაირად
და იგი არასდროს დაცხრება.
და ვფიქრობ, ორივემ ერთადა
სიყვარულს მძლე ტახტი ვუშენოთ,
ჩემ თავზე მიყვარხარ მეტადა
და ვეღარ ვიცოცხლებ უშენოდ!

მაგრამ „ფიქრი“ და „სიყვარული“, ეტყობა, არ იყო საკმარისი. იოსებ ნებაძე, რომელიც გულით შეჰხაროდა ქართველების გამრავლებას, ბოლოს თვითონ „აღმოჩნდა“ მარტოობაში და დავით გურამიშვილივით საკუთარი ლექსები... „იშვილა“...

მესხი პოეტის შემოქმედებაზე კიდევ შეიძლებოდა საუბარი, მაგრამ ... დავასრულოთ სათქმელი მისი ორსტროფიანი ფილოსოფიური ლექსით „წყაროზე“, რომელსაც ადგილობრივნი (ღრელელები) „ფიჭვნარას წყაროს“ ეძახიან. ეს წყარო მდებარეობს ძველ ღრელსა (ნასოფლარია ამჟამად) და ახალ ღრელს (ლაშიხევს) შორის აღმა მიმავალ გზასთან, მთის ფერდობში. „ფიჭვნარას წყარო“ ყოველთვის სუფთა, ცივი და ანკარაა...

ჩუხჩუხებს წყარო, კეთილი ვარო,
ეჰ, რამდენ სტუმარს მე წყალი ვასვი,
ჩემი უწყვეტი დინებით ვხარობ,
შევჩერდე? – აღარ მექნება ფასი!
რამდენი ქვეყნად უქმად გდებულა
სიცოცხლეშივე სიკვდილის მსგავსი,
თუ გული გულად დაბადებულა,
არ მოედება არასდროს ხავსი!

ამ ლექსით იოსებ ნებაძე ერთგვარად გაეშაირა ვაჟა-ფშაველას ბუნების სამყაროს...

შოთა ერეკლიშვილი

არიან შემოქმედნი, რომლებიც განსაკუთრებული ნიჭით დაუჯილდოებია ღმერთს, მაგრამ არ უყვართ, არ სჩვევიათ „თავის გამოჩენა“, საკუთარ თავზე ლაპარაკი, რეკლამირება. ერთი ასეთი შემოქმედთაგანი იყო ახალციხელი მხატვარი-მოქანდაკე შოთა ერეკლიშვილი, რომელიც 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაიცვალა, მაგრამ, რომ იტყვიან, უკვალოდ არ ჩაუვლია მის ნამოღვაწარს. ვიდრე შოთას შემოქმედებაზე რაიმეს ვიტყოდეთ, გაგაცნობთ მის მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს:

შოთა ერეკლიშვილი დაიბადა 1937 წლის 25 მარტს ქალაქ ახალციხეში, მოსამსახურის ოჯახში. 1943 წელს იგი შევიდა ახალციხის პირველ საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ, როგორც ბავშვობიდანვე მხატვრობაზე მეოცნებემ, სწავლა გააგრძელა თბილისში, მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და დაუბრუნდა მშობლიურ ახალციხეს.

რაიონის მაშინდელ თავკაცს ვლადიმერ ქერქაძეს, რომელიც ენათესავებოდა ახალგაზრდა მხატვარ-მოქანდაკეს, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მისი პერსპექტიული შესაძლებლობები ხელოვნების ამ დარგში და დახმარება გაუწია სამხატვრო აკადემიაში სწავლის გაგრძელებაზე, მაგრამ აქ შოთას სტუდიაში მუშაობა შესთავაზეს, რის გამოც უარი თქვა სწავლის გაგრძელებაზე და გადაწყვიტა ახალციხეშივე მოეძებნა შესაფერისი საქმე. მალე მუშაობას იწყებს ახალციხის N1 საშუალო სკოლა-ინტერნატში ხატვა-ხაზვის მასწავლებლად, შემდეგ გადადის ქალაქის „ახალგაზრდულ ცენტრში“, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობას ქვაზე კვეთას ასწავლიდა. შოთა ერეკლიშვილმა ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო ხეოთის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის (სამრეკლოს) აღდგენით სამუშაოებში.

სამსახურის პარალელურად, ხელოვანი განაგრძობდა თავის თავზე ინტენსიურ მუშაობას – ხატავდა, ხაზავდა, აქანდაკებდა. მისი, როგორც მხატვრისა და მოქანდაკის ნიჭი განსაკუთრებით გამობრწყინდა შოთა რუსთაველის 800 წლისთავზე. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით 1966 წლის 29 სექტემბერს ახალციხეში გაიხსნა გენიალური პოეტისა და მოაზროვნის ძეგლი. ზეიმს ეს-

წრებოდნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მწერლები, პოეტები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი. ამ საერთო-სახალხო ზეიმში შოთა ერეკლეშვილის წვლილი ის გახლავთ, რომ მან მშვენიერი ქართული ორნამენტებით შეამკო კვარცხლბეკის ერთი კუთხე და ამოტვიფრა ციფრები – „800-1966“. ეკლარის ქვისაგან შესანიშნავად გამოძერწა დაახლოებით 40-45 სანტიმეტრის სიმაღლის ლარნაკი, გაუკეთა ოთხი ყური (სახელური) და მასში გაატარა თანაბარზომიერი რგოლებისაგან შემდგარი ჯაჭვი, ორნამენტირებული ლარნაკის ქვედა ნაწილში კი ამოკვეთა წარწერა: „შოთა რუსთაველი - 800“. საინტერესო და გასაოცარი ის არის, რომ ყოველივე ეს გამოყვანილია ერთი ქვისაგან უდეფექტოდ. ფილიგრანულ ნამუშევარზე ცნობილი ისტორიკოსი დავით კოჟორიძე წერდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1967 წლის N6): „ახალციხის მკვიდრმა შოთა იაკობის ძე ერეკლიშვილმა საიუბილეო თარიღს უძღვნა მეტად ორიგინალური, ეკლარის ქვისაგან გამოკვეთილი თოფურიძე იყო. ძეგლი იდგა დღევანდელი დრამატული თეატრის გვერდით, მარჯვენა მხარეს. თეატრის მშენებლობა, „კულტურის სახლის“ სახელით, დაიწყეს გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და, იმის გამო, რომ მშენებლობას, ვითომდა, ხელს უშლიდა, ძეგლი ნაწილ-ნაწილ დაშალეს და სადღაც გადამალეს. ამასთან დაკავშირებით ჩემმა ჯარის მეგობარმა სოსო ბერიძემ ამას წინათ მითხრა: „ზუსტად არ ვიცი, რომელ წელს აიღეს რუსთაველის ძეგლი, ის კი კარგად მახსოვს, 1960 წელს, ჯარიდან რომ დავბრუნდი, ძეგლი აღარ იდგა თავის ადგილზე“. გამოხდა ხანი. დიდი ზარ-ზეიმით ჩაიარა რუსთაველის 800 წლისთავმა და დიდი პოეტის ძეგლი, თოფურიძისეული ქანდაკებაც, მოიკითხეს. გადაწყდა – იგი დადგმულიყო ქალაქ ახალციხის N1 საშუალო სკოლის ეზოში. შოთა ერეკლიშვილმა აქაც თქვა თავისი სიტყვა: მიუხედავად იმისა, რომ ძეგლის კვარცხლბეკს აკლდა რამდენიმე ნაწილი, მათ შორის, წყვილი ლომი, რომელთა ხახიდან სუფთა წყალი გადმოსჩქეფდა, ნიჭიერმა მოქანდაკემ ისე მიუსადაგა ერთმანეთს გადარჩენილი ნაწილები, რომ მნახველს, ალბათ, გაუჭირდება ეჭვი შეიტანოს ძეგლის „სრულყოფილებაში“.



1970 წელს ფართოდ აღინიშნა დიდი სამამულო ომის ძლევამოსილი დამთავრების 25-ე წლისთავი. ახალციხეშიც, ფოსტის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოეწყო შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალი, რომელსაც შოთა ერეკლიშვილის მიერ გათლილ-მოჩუქურთმებული ქვის „კრატერიდან“ მოგიზგიზე „მუდმივი ცეცხლი“ ამშვენებდა. ახლა აქ აღარც მემორიალია და აღარც „მუდმივი ცეცხლი“. დრო-ჟამმა ყველაფერს დააჩნია თავისი მსახვრალი ხელი.

ჩვენ ამ წერილში ვისაუბრეთ შოთა ერეკლიშვილზე, როგორც მოქანდაკეზე, თუმცა არაფერი გვითქვამს მასზე, როგორც მხატვარზე. დიახ, შოთა ერეკლიშვილი ჩინებული მხატვარიც იყო. მისი ფერწერული ტილოები, მართალია, „შორს არ წასულა“, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტ სილამაზეს ჰფენენ თვით მხატვრის სამუშაო ოთახის კედლებს.

„მაშვრალი წარვალს, ნაშრომი ჰგიეს“, – უთქვამს ჩვენ წინაპარს. ე. ი., ადამიანი მიდის იმქვეყნად, მისი ნაშრომ-ნაღვაწი კი რჩება მომავალ თაობებს.

დასასრულ, მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს მეგობარსა და შოთა ერეკლიშვილის ოჯახის კეთილმოსურნე სოსო ბერიძეს, რომ ამ წერილის დაწერის აუცილებლობა შემახსენა...

გვერდი მოამზადა
ვაჟა სამსონიძემ

ასპინძის ომის 250 წლისთავისათვის

ასპინძის ბრძოლა

1764 წელს რუსეთის იმპერიის მხარდაჭერით, პოლონეთის ტახტი სტანისლავ პონიატოვსკიმ დაიკავა. ამას, იმთავითვე, დაუპირისპირდა საფრანგეთი და ავსტრია, რომელთაც თავისი კანდიდატურა ჰყავდათ პოლონეთის ტახტზე. საფრანგეთისა და ავსტრიის წაქეზებით, ამ დაპირისპირებაში ჩაერთო თურქეთი, რომელსაც რუსეთთან მიმართებაში საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა. პორტა უკრაინის ტერიტორიაზე თავისი გავლენის ზრდისაკენ ისწრაფვოდა. მთავარი, ამ შემთხვევაში, ოსმალთათვის იყო ის, რომ რუსეთს ყირიმის სახანოს შემოერთებაზე და შავ ზღვაზე გასვლაზე საბოლოოდ ეთქვა უარი. რუსეთში ხედავდნენ თურქეთის ჭეშმარიტ განზრახვას. მოსალოდნელი ომის შესახებ პეტერბურგში დიდი ხნით ადრე იცოდნენ და სამზადისიც დაწყებული ჰქონდათ.

1768 წლის 11 ივლისს, ხოლო მოგვიანებით 25 სექტემბერს, თურქეთმა ოფიციალურად მოითხოვა პოლინეთიდან ჯარის გაყვანა. აშკარა გახდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომამდე დიდი დრო არ იყო დარჩენილი. ორ ქვეყანას შორის კონფლიქტი იმანაც დააჩქარა, რომ თურქეთის მთავრობამ სტამბულში მყოფი რუსეთის საელჩო დააპატიმრა.

რუსეთ-თურქეთის ომის დასაწყისი ეტაპი რუსეთის იმპერიისათვის ნაკლებ სახარბიელოდ წარიმართა. თუმცაღა, უკვე ამ დროს, საბოლოოდ ჩამოყალიბდა რუსეთის სტრატეგიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა თურქეთის წინააღმდეგ ოთხი სხვადასხვა მიმართულებით შეტევის განხორციელებას.

პირველი, გენერალ ა. გოლიცინის მეთაურობით, მოქმედ რუსეთის პირველ არმიას კიევის რაიონიდან შეტევა უნდა განეხორციელებინა დუნაის მიმართულებით. გენერალ პ. რუმიანცევის მეორე არმიას ევალებოდა იმპერიის სამხრეთ საზღვრების გამაგრება და ყირიმის სახანოს ბლოკირება, რათა ამ გზით ოსმალებს არ მისცემოდათ საშუალება შეჭრილიყვნენ უკრაინის სიღრმეში. მესამე მიმართულება უფრო ამბიციური იყო, ბალტიის ზღვიდან რუსეთის ფლოტი უნდა შესულიყო ხმელთაშუა ზღვაში და იქ დახმარებოდა თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ბერძნებს. ბრძოლების მეოთხე რაიონად კავკასია, კერძოდ, საქართველო მოიაზრებოდა. აღნიშნული გეგმის განხორციელება რუსეთმა 1769 წლიდან დაიწყო. უკრაინისა და ბალკანეთის ფრონტზე ვითარება თანდათან რუსეთის სასარგებლოდ წარიმართა. მიუხედავად ამისა, რუსეთის საიმპერატორო კარი აქტიურად განიხილავდა თურქეთთან ომში ქართლ-კახეთისა და იმერეთის ჩაბმის საკითხს. შესაბამისი დიპლომატიური სამუშაოს ჩატარების შემდეგ, რუსეთმა მოახერხა იმერეთის მეფე სოლომონ I-თან და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან გარკვეული შეთანხმების მიღწევას და 1769 წლის ივნისში, იმპერატორ ეკატერინე II-მ, საგანგებო ბრძანებით, საქართველოში სამი ასეულისა და ოთხი ქვემეხისაგან შემდგარი ჯარის ნაწილი გამოგზავნა, რომელსაც სარდლად გენერალი გოტლობ კურტ ჰაინრიხ ფონ ტოტლებენი ჩაუყენა. ეს უკანასკნელი თავისი დროის ცნობილი ავანტიურისტი იყო. იგი XVIII-XIX საუკუნეების არაერთი ბოჰემური რომანის მთავარ გმირად ჰყავდათ გამოყვანილი. გენერალი ტოტლებენი სამხედრო ნიჭით არ გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე შემთხვევითმა ფაქტმა მისი სახელი ლეგენდებით შემოსა.

1760 წელს ტოტლებენის კორპუსი ბერლინს შემოეწყო, მაგრამ მისი აღება ვერ მოახერხა. ამასობაში, ბერლინის კედლებთან გამოჩნდა რუსთა რაზმები, გენერალ - პორუჩიკის, გრაფ ზაქარია ჩერნიშევის სარდლობით და ავსტრიელთა კორპუსი გრაფ ლასის ხელმძღვანელობით. ბერლინელებმა გადაწყვიტეს კაპიტულაცია გამოეცხადებინათ და მათ მოლაპარაკება სწორედ ტოტლებენთან გამართეს, რომელსაც ჩააბარეს კიდეც ქალაქი. ასე დაუმკვიდრდა ტოტლებენს „ბერლინის დამპყრობლის“ სახელი. არადა, მას არც სამხედრო გამოცდილება გააჩნდა და არც სარდლისათვის საჭირო ნიჭით გამოირჩეოდა. ეს კარგად გამოჩნდა მისი საქართველოში ყოფნის დროს.

1769 წლის აგვისტოში გენერალი ტოტლებენი უკვე ქართლ-კახეთში იმყოფებოდა, ხოლო 27 სექტემბერს, იმერეთის საზღვარზე, მას შეეგება სოლომონ I, იოსებ კათოლიკოსი და დიდებულები. სამხედრო გეგმის მიხედვით, პირველი იერიში შორაპნის ციხეზე უნდა მიეტანათ. 3 ოქტომბერს რუსთა და ქართველთა ერთობლივმა ძალებმა შორაპანი მოიცვეს. ამ დროს ციხეში სულ რაღაც 23-25 თურქი მეციხოვნე იმყოფებოდა. იმერეთში რუსეთის

ლაშრობის მთავარი პლაცდარმის – ახალციხის საფაშოს დასუსტება და დაპყრობა. ამის შემდეგ, დასავლეთ საქართველოდან თურქების განდევნა გაცილებით ადვილი იყო.

1770 წლის 2 მარტს ტოტლებენი სურამში დაბანაკდა. მას თან 1200 მეომარი ახლდა. მარტის შუა რიცხვებში სურამში ჩავიდა

ნახ. ვ.მახარაძისა

ერეკლე II 7000 კაციანი ჯარით. ქართველთა და რუსთა სამხედრო ნაწილებმა ჯერ ქვიშხეთში, ხოლო შემდეგ სადგერში გადაინაცვლეს. ერეკლესა და ტოტლებენს შორის პირველი სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა სწორედ სადგერში ჩამოვარდა. გენერალმა თავისი ჯარის ნახევარი დატოვა სადგერში, რამაც ერეკლეს განაწყენება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, რუს-ქართველთა ჯარმა ბორჯომის ხეობით ახალციხისაკენ სვლა განაგრძო და 17 აპრილს აწყურის ციხეს შემოადგა. ერეკლე II აწყურის ციხის გარემოცვის წინააღმდეგი იყო და პირდაპირ ახალციხეზე ლაშქრობას მოითხოვდა. ტოტლებენმა კი, ვითომდა აწყურის აღება სურდა, ციხე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გარემოიცვა. სამხედრო თვალსაზრისით, ეს იყო ყოვლად გაუმართლებელი საქციელი, ვინაიდან, ციხესთან მისასვლელი საკმაოდ დიდ პერიმეტრზე დაუცველი იყო და თურქებს თავისუფლად შეეძლოთ დამატებითი ძალები შეეგზავნათ, რაც განახორციელეს კიდეც მეორე დღეს, როცა ახალციხის ფაშამ აწყურის დამცველებს 2000 კაცი მიაშველა. აშკარაა, რომ გენერალ ტოტლებენს ფართო მასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების განხორციელების არავითარი სურვილი არ ჰქონდა. შორაპნის ალყის მოხსნა, აწყურის ციხის მოჩვენებითი გარემოცვა, თვალნათლივ მიუთითებს, რომ იგი დროს აჭიანურებდა. რა იყო ამის მიზეზი, ამის თქმა ძნელია, თუმცაღა, როგორც არაპროფესიონალ სამხედროს, ტოტლებენს აქტიური სამხედრო კამპანია არ იზიდავდა. 1770 წლის 6 აპრილს იგი რუსეთში გენერალ ზაქარია ჩერნიშევს წერდა: „უმორჩილესად გთხოვ, აქედან ჩქარა წამიყვანოთ, ჩემს მაგივრად ჩემი რაზმი სხვა გენერალს ჩააბაროთ... ძალა არ მყოფნის“. რუსეთის სამხედრო ინტერესებისადმი ასეთი ინდიფერენტული განწყობა აწყურთანაც მალე გამომჟღავნდა. 19 აპრილს ტოტლებენმა ბრძოლას თავი მიანება და ერეკლე II-სთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე შიდა ქართლში გადმოვიდა. ამ ინციდენტზე პირადად ერეკლე II წერდა რუსეთის ვიცე კანცლერ გოლიცინს: „მე მიველ და ღრაფს დიდად ვევედრე, და ჩემი თავი, ვითარცა ერთი მისისა კამანდისა ოფისარი, ეგრეთ კამანდაში ვაძლივე, და მრავალს ვევედრე გამობრუნებას მტერზედ...იმ ჩემს ვედრებაზედ ორი ზარბაზანი გამოაბრუნა და ერთ მაღალს გორაზედ აიტანა, რომელიც დიდად შორევდა მტერზედ, მუნითგან ოთხი-ხუთი ზარბაზანი ესროლა და გაბრუნდა და აღმითქვა, რომ აქავ ახლო ერთ ბალახიანს ადგილს ჩამოვხდებიო, და ამ სახით გამოიპარა“. აწყურიდან უკან გაბრუნებული ტოტლებენი არც კი აპირებდა თავისი აზრის შეცვლას. ჯარისათვის ხელსაყრელი ადგილის მოძიება მხოლოდ საბაბი იყო და მეტი არაფერი. მალე რუსი გენერალი შიდა ქართლში გადავიდა. მარტოდ დარჩენილი ერეკლე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ტოტლებენთან შეხვედრიდან დაბრუნებულ მეფეს ჯარში მცირე უსიამოვნებაც შეხვდა. მეომრები საყვედურობდნენ მას. ამ ვითარებით შეეცადნენ ესარგებლათ აწყურში მოკალათებულ თურქ მეომრებს. ისინი ციხიდან გამოიჭრნენ და ქართველებზე მიიტანეს იერიში. ერეკლემ შეძლო მტრის შეჩერება. ოსმალებმა სასწრაფოდ ციხეს შეაფარეს თავი. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ერეკლემ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, ალყა მოეხსნა და ჯავახეთის გზით თბილისში დაბრუნებულიყო. 19 აპრილს ერეკლე II-მ ასპინძისაკენ აიღო გეზი.

ასპინძის ომის მიმდინარეობა დღემდე სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. წერილობითი წყაროები ორ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობენ. მათი შეჯერება არც ისე ადვილია, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენის თანამედროვეთა ერთი ნაწილი – ერეკლე II, მოურავოვი, ომან ხერხეულიძე, ბრძოლას სხვაგვარად აღწერენ. მაშინ, როცა ზაალ ორბელიანი, დავით და ბაგრატ ბატონიშვილები ასპინძის ომის მსვლელობის იმ ვერსიას ავითარებენ, რომელიც დღეს ყველაზე პოპულარულია. ამ უკანასკნელთა აზრით, ასპინძის ომის წინ მეფე ერეკლემ ქსნის ერისთავის შვილს – აღაბაბას, სვიმონ მუხრანბატონიშვილს და ხუდი ბორჩალოელს მტკვარზე გადებული ხიდი ააყრევინა, რომელზედაც წინა დღით მტრის ერთი ნაწილი უკვე გადმოსულიყო. მეორე ნაწილი კი მეორე დღეს აპირებდა გადმოსვლას. სწორედ ამ სამხედრო ეშმაკობის წყალობით ერეკლე II ასპინძის ომში თურქ-ოსმალთა ჯარის მხოლოდ ერთ ნაწილთან აღმოჩნდა. ამავე ვერსიის თანახმად, ომის დასრულებისას, აყრილი ხიდის გამო, დიდი ზარალი მიადგა მტერს. ცოცხლად გადარჩენილი თურქების მხოლოდ მცირე ნაწილმა გადალახა მდ. მტკვარი და გავიდა სამშვიდობოს. ეს ვერსია იმდენად პოპულარულია ხალხში, რომ მას შეხვდებით როგორც სამეცნიერო, ასევე სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევებში. თუმცაღა, ფაქტია, რომ ომის ასეთი სქემით განვითარება ბევრ კითხვას ბადებს. კერძოდ, როგორ მოახერხეს ქართველებმა მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე დაბანაკებული მტრის წიაღში შეღწევა და ხიდის აყრა? თუ თურქებმა ბრძოლის დაწყებისას იცოდნენ, რომ ხიდი აყრილი იყო (ვფიქრობთ, ამის გაგება რთული არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ოსმალთა ჯარის ნაწილი ხომ ჯერ კიდევ მტკვრის მეორე ნაპირზე იდგა და შეუძლებელია მათ არ ეცნობებინათ თავისი თანატომელებისათვის ამის შესახებ), რატომ დაიხიეს უკან მდინარისაკენ? მათ ხომ შეეძლოთ ასპინძიდან უკან დახევა განეხორციელებინათ სახმელეთო გზით! ეს მომენტები იმდენად თვალშისაცემია, რომ, ზოგადად, ასპინძის ბრძოლის გააზრებისას მათი არ გათვალისწინება, შეუძლებელია. სამწუხაროდ, სტატიის მასშტაბები არ გვაძლევს იმის საშუალებას ამჯერად, ამ საკითხს საგანგებოდ შევეხოთ.

უშუალოდ ასპინძის ბრძოლის მიმდინარეობა შემდეგი სქემით უნდა განვითარებულიყო: აწყურიდან 19 აპრილს გამობრუნებულმა ერეკლემ გზაში ჯარი დაასვანა. ასპინძის მიდამოებში ქართლ-კახეთის მეფე 20 აპრილს გამოჩნდა. ამასობაში თურქებს მოესწროთ და 1500 კაციანი რაზმით ასპინძიდან ჯავახეთისაკენ მიმავალი გზა ჩაეკეტათ. ერეკლე II-მ, ბრძოლის დაწყებამდე, როგორც ჩანს, მტკვარზე ხიდი ააყრევინა. მეფის ასეთი საქციელი აბსოლუტურად გასაგებია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ახალციხიდან ასპინძისაკენ მიმავალი მთავარი გზა სწორედ მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადიოდა. ქართველთა სარდლობა შესაძლებელია, ორ ცეცხლს შორის აღმოჩენილიყო თუ ერეკლეს წინააღმდეგ ახალციხის ფაშა დამატებით ძალებს გამოაგზავნიდა. თურქებს ასპინძასთან მტკვარზე გადმოსვლა რომ ვერ მოეხერხებინათ, ამისათვის მეფემ თავის მეომრებს ხიდი ააყრევინა. ერეკლე II-მ ასპინძის ხრამთან დაბანაკებულ თურქებზე პირდაპირი იერიში მიიტანა და უკუაქცია. ქართველებმა მტერს დიდ მანძილზე სდიეს. უკან მობრუნებულ ქართლ-კახეთის ლაშქარს რამდენიმე საათში ახალი ბრძოლა მოუწია, გაცილებით მრავალრიცხოვან თურქ-ოსმალთა ლაშქართან. სწორედ ეს შებრძოლებაა ცნობილი საქართველოს ისტორიაში, როგორც ასპინძის ბრძოლა. ერეკლე II-ის ლაშქარს 4-8 ათასი თურქი დაუპირისპირდა. თავად ერეკლე მოწინააღმდეგის რიცხვს 4 ათასით განსაზღვრავს. მაშინ, როცა თურქი ტყვეები რატომღაც, 8 ათასიან კორპუსზე მიუთითებენ. ოსმალთა ჯარში იმყოფებოდნენ არტაანის ბექირბეგი, გოლა ფაშა, შავშეთის ბეგი, ოლთისის ფაშა და სხვა. ამასთანავე, თურქთა ჯარის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ დაქირავებული ლეკი მეომრები, რომელთაც მალაჩილა, ანუ იგივე კოხტა ბელადი სარდლობდა. ბრძოლის წინ ერეკლემ ქართველთა ლაშქარი შემდეგნაირად განალაგა: მარჯვენა ფლანგს სარდლობდა დავით ორბელიანი, მარცხენას – ბატონიშვილი გიორგი, ხოლო ცენტრში თავად ერეკლე იდგა. ქართველები სწრაფ შეტევაზე გადავიდნენ და მტერი მარჯვენა ფლანგიდან და ცენტრიდან შეავიწროვეს. უშუალოდ, ბრძოლისას, ერეკლე II და კოხტა ბელადი ხმალდახმალ შეებრძოლნენ ერთმანეთს. ქართლ-კახეთის მეფემ სასიკვდილოდ განგმირა მალაჩილა. თურქებმა მალე ზურგი აჩვენეს და მტკვრისაკენ დაიხიეს, სადაც მათ ხიდი ეგულებოდათ, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ქართველებს ხიდი უკვე აყრილი ჰქონდათ და ოსმალთა დარჩენილი ნაწილი იძულებული გახდა მტკვარი გადაეცურა. ადიდებულმა მდინარემ ქართველთაგან უკუქცეულ მეომართა დიდი ნაწილი შთანთქა. ახალციხეში 13 კაციღა დაბრუნებულა. ბრძოლის ველზე დაეცა თითქმის ყველა თურქი სარდალი. ქართველთა ზარალი უმნიშვნელო იყო. ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი, რა თქმა უნდა, ერეკლე II იყო. მისი სარდლობით მოქმედმა ქართველთა ლაშქარმა მტერს აჩვენა სწორი ტაქტიკური მანევრირების უნარი, ბრძოლის ადგილის კარგი ცოდნა და, რაც ყველაზე მთავარია, სიმამაცე.

* * *

ასპინძა მესხეთის ერთ-ერთი ულამაზესი დაბაა. პირველად იგი IX საუკუნის ამბებთან იხსენიება. უძველესი დროიდან ასპინძაზე გადიოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გზა. დიდ სახელმწიფოთაშორისო მაგისტრალებზე, გარკვეულ მანძილებში მგზავრთა დასასვენებელი სადგურები იყო მოწყობილი. როგორც ჩანს, ასპინძის მიდამოებშიც ერთ-ერთი ასეთი სასტუმრო მდებარეობდა. სწორედ აქედან მომდინარეობს სახელწოდება „ასპინძაც“. იგი სპარსული წამომავლობისაა და გზებზე მდებარე სასტუმროს აღნიშნავს. თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო, ასპინძის მიდამოები არაერთი დიდი ისტორიული მოვლენის ეპიცენტრი გამხდარა.

ჯაბა სამუშია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

არტეფაქტების ექსპერტიზის ისტორიისათვის

ექსპერტი ყალიბდება არა ბიბლიოთეკაში, არამედ მუზეუმის ფონდებსა და გალერიებში

ჯოვანი მორელი

გაგრძ. დასაწყ. წინა ნომერში

როგორც ირკვევა, მხატვარები ანატომიური ნაწილების შექმნას არ ეკიდებიან გულისხმიერედ, რადგან შემოქმედებითი კუთხით მათში საინტერესოს ვერაფერს ხედავენ. სწორედ ეს განწყობა უბიძგებს ოსტატს ინდივიდუალური ინსტიქტის გამომჟღავნებისკენ. ყურის, ხელისა და ფრჩხილის გამოსახვის დროს მხატვარი არ განიცდის რა შემოქმედებით აღმაფრენას, დეტალებში ემოციური მუხტი მნიშვნელოვნად კლებულობს. სწორედ ამ პროცესში ქრება მხატვრის აღმაფრენა. ყური, ხელის მტევანი, ფრჩხილი და სხვა შემოქმედების მიღმა სრულდება. განცდის გარეთ შექმნილი ფორმები ყველა ნამუშევარში ერთმანეთს ემსგავსება.

მიუხედავად იმისა, რომ ანატომიურ დეტალებს უმნიშვნელო დატვირთვა აქვს, გამოსახვის თვალსაზრისით რთულ პროცესს წარმოადგენს. ტილოზე მათი რიალისტურად ხატვა გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს. ბევრი ფერმწერი თავს არიდებს მათ ვიზუალიზაციას, რისთვისაც პორტრეტს ზოგჯერ ერთი მესამედით ატრიალებს. ცნობილია რომ ისეთი მხატვარები როგორიც იყვნენ ვან დეიკი და ლუკას (უფროსი) კრანახი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ხელის ფორმის გამოსახვის ინდივიდუალურ თავისებურებას. სირთულის გამო ყური და ხელის მტევანი ხშირად აქსესუარებით - მუზარადით, ქუდით ანდა ხელთათმანით იფარებოდა.

ჯოვანი მორელის მეთოდის თანახმად, ავტორის დასადგენად საჭიროა კონკრეტული მხატვრის შემოქმედებაში მსგავსი ფორმების სტილისტური თავისებურებების ცოდნა, რადგანაც ცალკეული ოსტატის ანტომიური დეტალის ხატვის მანერა დამახასიათებელია მხოლოდ მისი შემოქმედებისათვის და უცხოა სხვა მხატვრისათვის.

იტალიელი თეორეტიკოსი თვლის, რომ არტფაქტების შესწავლა მხოლოდ ხელოვანს შეუძლია, რადგან მხატვრული ნაწარმოების სულისკვეთების შემეცნების უნარი მხოლოდ მათ გააჩნიათ. მთავარია, ინტუიტიური კვლევით არჭურვილმა მცნობარმა მხატრული ქმნილების განუმეორებლობა და ანატომიურ დეტალებში ავტორის მიერ კოპირებული ინდივიდუალიზმის აღმოჩენა შესძლოს.

ანატომიური დეტალების შედარებითი მეთოდი გასათვალისწინებელია, თუმცა საბოლოო შედეგის მისაღწევად ეს არ კმარა. მთავარია შემოქმედების ფსიქო-ანალიტიკური ანალიზით შექმნილი აღმაფრენის გათავისება. ხელოვნების ნიმუშებზე გამოსახული მხატრული ფორმები სულიერების ნაკვალევია, რომელიც შემოქმედებითმა განცდებმა დაგვიტოვა. განცდების ანბანის ცოდნა კი აუთენტურობის დადგენის მთავარი გასაღებია. ასე ფიქრობს ხელოვნებისა და ფერწერის მეთოდოლოგიური კვლევის ცნობილი თეორეტიკოსი ჯოვანი მორელი. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მოსაზრება არ წარმოადგენს ერთადერთ ხერხს აუთენტურობაზე სწორი პასუხის მისაღებად. გარდა ამ ჰიპოტეზისა, არტეფაქტების ინტუიტიურ კვლევის ისტორიაში არსებობს სხვა მეთოდოლოგიური მიდგომებიც, რომლის განხილვა ამჟამად შორს წაგვიყვანს.

XIX-XX სს. მიჯნაზე ევროპელ მეცნიერთა ერთი ჯგუფი ატრიბუცია-ექსპერტიზის საკითხს სრულიად ახლებურად მიუდგა. მატერიალური კულტურის შესასწავლად მათ აკადემიური და ინტუიტიური ხერხების ერთობლივად გამოყენების წინადადება წამოაყენეს. ეს გახდა უაღრესად პროგრესული ნაბიჯი, რომელიც ხელოვნების ნიმუშების ექსპერტიზისათვის ზუსტ პასუხს იძლეოდა. მათი აზრით, „ყავლი გაუვიდა ცალკე აღებულ პასიურ აკადემიურ თეორიებსა და ფსიქო-ანალიტიკურ მეთოდოლოგიებს, რომელებიც აქამდე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ.“ დასავლეთ ევროპის ხელოვნებათმცოდნეთა ერთმა ნაწილმა

ორი მეთოდოლოგის სინთეზირება წინგადადგმულ ნაბიჯად აღიარა.

არტეფაქტების ექსპერტიზის წყალქვეშა რიფები

ხელოვნების ნიმუში, რომელიც ერთიდაიგივე არტისტის მიერ ორჯერ არის შესრულებული ერთმანეთს არასდროს ჰგავს. თუნდაც იმიტომ, რომ შემოქმედებითი ხასიათი დამოკიდებულია მის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე, რომელიც ყოველთვის ცვალებადია. შემოქმედება ერთი და იგივე სიხშირითა და ხარისხით არასდროს მეორდებოდა. ოსტატი ვერ ქმნის მსგავს ფორმებს, რადგანაც იგი ისეთი განწყობით არ არის დღეს, როგორიც იყო გუშინ.

ხელოვნების მცნობარმა იცის, რომ კოპირება წარმოადგენს ქმედებას, რომელიც ძირეულად განსხვავდება მხატრული შემოქმედებისაგან. ასლის შექმნისას არ მჟღავდება შემოქმედებითი უპირატესობა, რომელიც ორიგინალის სტილისტური ერთიანობისგან მიიღება. ორიგინალი, კოპიოსაგან იმდენად განსხვავდება რამდენადაც ისინი დაშორებულნი არიან დროში და ეპოქის სტილისტურ მანერაში. ასლის ავტორს არ შუძლია იმ პერიოდის შემოქმედებითი აქტივობის გააზრება, სიფაქიზისა და სიმძაფრის ნიუანსების გათავისება. მხატრულ-სტილისტურ მონაცემებში ყოველთვის იკვეთება იმიტირებული ხელწერა ბუნებრივისაგან განსხვავებით. ავტორი ორიგინალს ქმნის უნებურად, სუბიექტივიზმისაგან თავისუფალი, ხოლო ასლის მკეთებელი ნივთს ქმნის თვითნებურად სადაც სუბიქტური განწყობა დამთურგვნელად ზემოქმედებს.

ეს ის წყალქვეშა რიფია, რომლის შეჯახებაშიც იმსხვრევა ასლის შემქნელი. არავის ძალუძს გაითავისოს იმ ეპოქის მხატვრული ხედვის მანერა, რასაც ორიგინალის ეპოქა ითხოვდა. ამის გამო ვერ ყალიბდება ის მხატრული დონე, რომელიც დედანს გააჩნია. ხელოვნებისა და გამოყენებითი ხელოვნების გამომსახველობითი ენა სფეციფიკურია, რომელიც წარსულში არსებულ მსოფლმხედველობას და ოსტატის შემოქმედებით პროცეს მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან. სწორედ ეს ენა არ ესმის ასლის „მკეთებელს“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ექსპერტისათვის პირველი ხედვითი შთაბეჭდილება ერთ-ერთი მთავარი მომენტია. ნივთის ატრიბუციის დროს მცნობარმა უნდა იხელმძღვანელოს სკულპულოზური და ღრმა შინაარსობრივი დაკვირვებით. იგი არ უნდა მიუდგეს ნივთის შესწავლას მხოლოდ ზედაპირული დათვალიერებით. მზერა არ უნდა ფოკუსირდეს ერთ რომელიმე ფორმაზე. ის უნდა მისდევდეს ოსტატის შემოქმედებით აღმაფრენას. „ვიზუალური აზროვნების“ ნიჭით აღჭურვილი მცნობარი თანამონაწილე ხდება შემოქმედებითი პროცესის. ნაწარმოებში მხატვრის ხელწერის გამოვლინება გონებაში იწვევს ინდივიდულაური სტილისტური მანერის ელვისებურ გამონათებას, რის შემდეგაც მკვლევარი აქცენტს მხედველობისგან მიღებულ შემოქმედებით განცდაზე აკეთებს. მცნობარმა სწრაფად უნდა აღიქვას არტფაქტის ემო-

ციური ნიუანსები. მას უნდა გააჩნდეს შინაგანი წარმოსახვის სწრაფი მექანიზმი, რომლის წყალობითაც გონებაში ერთმანეთს დაუკავშირებს ხელოვნების ნიმუშებს და მათ შორის ავტორის ინდივიდუალურ ხელწერას გამოკვეთს. მხოლოდ ამგვარი მიდგომით შევძლებთ ასლი განვასხვავოთ ორიგინალისაგან.

სწორედ პირველი ხედვის დროს სხივოსნდება გონებაში კონკრეტული ოსტატის ხელწერის დადასტურება. ნაწარმოების ცალკეული დეტალი წარმოადგენს შემოქმედებითი ნათების იმ წერტილს, სადაც მხატვრის სულიერი სამყაროა თავმოყრილი. იგია ექსპერტიზაში კვანძის გახსნის მთავარ პირობა. სწორედ ეს სულიერი გაელვებაა მცნობარის შემოქმედების მთავარი წყარო და ახალი აღმოჩენის სათავე.

საოქრომჭედლო ხელოვნების ისტორიაში ფილუ ძაძამიძის ნაკეთობაზე დასმული ფილიგრანის მხატრული დეკორი მისი ფანტაზიის ნაყოფია, რომელიც მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ შესრულების ტექნიკითა და დეკორატიული ფორმით თანხვედრაში მოდის ყუბაჩელი დიდოსტატის „იდრისის“ ხელოვნებასთან, სტილისტურად და ვერცხლის დამუშავების ხელწერით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან.

ძაძამიძის ნამუშევარი ოქრომჭედლობის შედევრია. მისი შემოქმედება მაღალი მხატრული დონითა და ვერცხლის ტექნიკის ინდივუდუალური მანერით გამოირჩევა. მისეული ვერცხლის ძაფების ზედნადები გრეხილი და მარცვლები გასაკუთრებული სიხშირით არის წარმოდგენილი, რაც სხვისთვის უცხოა. იგი, როგორც ჭეშმარიტი ხელოვანი, არ იადვილებს შრომას და ცდილობს მშვენიერების მაქსიმუმს მიაღწიოს. ხელოვანი სილამაზის ემოციურ მუხტს შესამზადებელ სამუშაოებში აბნევს. ოქრომჭედელი განსაკუთრებული სიხშირით რთავს ვერცხლის მავთულის სიმებს. სხვა ოსტატისგან განსხვავებით შეგნებულად აპატარავებს ცვარას, რათა სილამაზის მისაღწევად მეტი ინტენსივობით დააბნიოს ბურთულები მოსევადებული ნაყშის გარშემო. განსაკუთრებული გულისყურით არჩევს ძვლის ფერს, ტყავის ფაქტურასა და მოოქროვების ფერადოვნებას. ყველა კომპონენტის ერთად თავმოყრა კი იმ ინდივიდუალურ მანერას ბადებს, რომელსაც ძაძამისეული ხელწერა ქვია.

ოსტატი ფილიგრანულ დეკორში არ ტოვებს სიცარიელეს. მის მიერ შექმნილ ნივთებში ზედაპირი ერთიანად იფარება ფილიგრანითა და სევადის მხატრული შუქჩრდილებით. ნათლად იკვეთება, რომ ყველა ორნამენტი განცდების შედეგად არის შექმნილი. ექსპერტის მოვალეობაა მავთულხლართებში გადატანილი ემოციების წაკითხვა და ოსტატის ინდივიდუალიზმის ამოცნობა. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ექსპერტის გონებაში იმ შემოქმედებითი განცდების გაელვება მოხდება, რაც თავად ავტორმა გადაიტანა. სწორედ ასეთი ემოციების ერთობლიობა ქმნის შეგრძნების მოზღვავებას, რაც საფუძველი ხდება სწორი დასკვნისათვის.

აზერბაიჯანულ ხალიჩას, რომელსაც თვეობით ზოგჯერ კი წლობით ქსოვდნენ, ოსტატი მასზე ემოციურ მუხტს ტოვებდა. რამდენადაც მეტია განცდების რეზონანსული კვალი ქსოვილზე, იმდენად თვითმყოფადია იგი. ხალიჩ-ფარდაგების ავსტრიელი ექსპერტის ალიოს რიგლის (1858-1905) თქმით, ტექსტილის მცოდნეს, რომელიც ინტუიტიური ნიჭით იყო დაჯილდოებული, ხალიჩ-ფარდაგების დეკორში ფეიქრის ტრაგედიისა და ლხინში განცდილი ემოციების წაკითხვა შეეძლო.

ტექსტილის ექსპერტები თავად განიცდიან იმ სულიერ აღმაფრენას რაც ხალიჩის მქსოველმა გადაიტანა. ქვეცნობიერი სულიერი კავშირი ოსტატსა და ექსპერტს შორის კამერტონის უმავთულო გადაცემის პრინციპით შეიძლება აიხსნას. ვცადოთ, გავარკვიოთ რა განცდა უბიძგებს ხალიჩების მცოდნეს ნახვისთანავე დაასკვნას სწორი პასუხი. ამოიცნოს ქსოვის ადგილი, რეგიონი, სოფელი, პერიოდი, ქსოვის სახეობა, დეკორის შინაარსი და სხვა.

როგორ მუშაობს რეზონანსული მანქანა, რომელიც მცნობარსა და ექსპონატს ერთმანეთთან აკავშირებს? რა ხერხით შეიმეცნება ოსტატის მხატრული განუმეორებლობა და შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი?

წარმოვიდგინოთ, რომ ოთახში განლაგებულია სხვადასხვა ტონალობის კამერტონი. თუ ამავე სივრცეში „ლა“ კამერტონს ავაჟღერებთ მხოლოდ მისი შესატყვისი სიხშირის ხელსაწყო აჟღერდება. დანარჩენები ტალღებს სი-

ჩუმით უპასუხებს. ერთი და იგივე ტონალობის ორმა კამერტონმა ეთმანეთი „დაინახა“. სწორედ მსგავსი სახის უხილავი კავშირი წარმოიქმნება მცნობარსა და ექსპონატს შორის. პრაქტიკიდან გამომდინარე, ექსპერტის „შემეცნების კამერტონი“, რომლის მეხსიერებაში მკაფიოდ არის ქსოვილის ყველა პარამეტრი ჩაბეჭდილი, ვიზუალური ინფორმაციის მიღებისთანავე ისე იწყებს „აჟღერებას,“ როგორსაც ხალიჩა „ასხივებს“. სუბიექტსა (მცნობარი) და ობიექტს (ხალიჩა) შორის წარმოქმნილი „უმავთულო“ გადაცემა ქმნის ქვეცნობიერ საკონტაქტო „წრედს“ ექსპერტიზისათვის. ექსპერტის გონება კლასიფიკაციის დახმარებით სწრაფად გამოარჩევს მას სხვა ჯგუფის ხალიჩისაგან, რის შედეგედაც ცნობიერება კიდევ უფრო მეტ კონკრეტიზაციას იწყებს ადგილისა და ქვეჯგუფის დასადგენად. ძველი ხალიჩის აღმოჩენისას კოლექციონერი მქსოველის შემოქმედებით ტყვეობაში ექცევა და რეალურ გარემოს წყდება. ხელოვნებისგან მიღებული წამიერი „ნირვანა“ ექსპერტისათვის ამაღელვებელი მომენტია. სიზუსტისათვის ხალიჩის დეტალების ვიზუალური დათვალიერება და ხელით შეხება მეტ შედეგს იძლევა, ვიდრე აკადემიური განსჯა სტილისტური ანალიზის შესახებ.

ხშირად სვავენ კითხვას, თუ როგორ ახერხებენ განასხვავონ თურქმენული ხალიჩა აზერბაიჯანულისაგან, ირანული ავღანურისაგან, ყუბა შირვანი ყაზახისაგან, ყალბი მონეტა ორიგინალისაგან, ლალის თვალი შპინელისაგან და ა.შ. ამ მოვლენის უკეთ გასაგებად ერთ მაგალითს მოვიყვანთ: იაპონიაში ჩაბრძანების შემდეგ აღმოაჩენთ, რომ ყველა იაპონელი ერთმანეთს გავს. გარკვეული დროით მათ შორის განსხვავება გიჭირთ. მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ შეამჩნევთ, რომ ისინი სულ არ ჰგვანან ერთმანეთს და ყველას ინდივიდუალური სახის ნაკვთები გააჩნია. დროთა განმავლობაში ვხდებით, რომ იაპონელები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამომავალი მზის ქვეყანაში დიდი ხნის ყოფნის შემდეგ ძნელი ხდება ორი ერთნაირი ადამიანის პოვნა. ამრიგად განსხვავების შემეცნების მექანიზმი „ვიზუალური აზროვნების“ ვარჯიშის შემდეგ იხვეწება და რეალობას ობიექტურად აღიქვავს. ასეა მატერიალური კულტურის ექსპერტიზის შემთხვევაშიც.

მართალია ინსპექტირების პროცესი მთავარია, მაგრამ იგი არ წარმოადგენს შესწავლის ბოლო საფეხურს. ინტუიტიური მეთოდოლოგიის თანახმად, ექსპონატის დათვალიერება ხელოვნებასთან ურთიერთობის საშუალებაა და არა არსის შემეცნების ხერხი. ცალკეული დეტალის ვიზუალიზაცია ექსპერტს ეხმარება დაინახოს მხოლოდ ფორმა-მონახაზი და არა ნივთის სახელოვნებო სამყარო. კვლევის პროცესში ერთდროულად საჭიროა, როგორც საგნის დათვალიერება, ასევე შემოქმედებითი პროცესის ხედვაც.

ამრიგად, ექსპერტიზა, რომელიც ლოგიკურად დასაბუთებულ მსჯელობას გულისხმობს, ერთდროულად უნდა დაეყრდნოს როგორც აკადემიურ კვლევას, რომელიც ნამუშევრის ისტორიულ-სტილისტურ შესწავლას გულისხმობს, ასევე - ინტუიტიურ მეთოდს, რომელიც ფსიქოანალიზის შედეგად დგინდება. პირველი სამეცნიერო სფეროს ნაწილია, ხოლო მეორე მუზეუმის პრაქტიკულ საქმიანობას უკავშირდება.

ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, ეთნოგრაფი და კულტუროლოგი მცნობარის უნარ-ჩვევებსაც უნდა ფლოფდეს. სხვა შემთხვევაში ყოველ ნაბიჯზე დაუშვებს შეცდომას. კამათი ექსპერტიზის გარშემო წარმოადგენს შემოქმედებით დაპირისპირებას ხელოვნების ისტორიკოსებსა და ექსპერტებს შორის, თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს შორის, უნივერსიტეტის აკადემისტებსა და მუზეუმის მოღვაწეებს შორის. კარგი იქნება თუ საუნივერსიტეტო სწავლებაში არტექსპერტის პრაქტიკული კურსი სუბიექტურ და ობიექტურ კვლევის მეთოდოლოგიას ერთდროულად გაიზიარებს. ხელოვნების ნიმუშების მკვლევარისთვის მთავარია „გაურკვეველი წარმოშობის არტეფაქტებში ამოიცნოს ნაწარმოების შემოქმედების არსი და განსაზღვროს ავთენტურობის პარამეტრები, სადაც აკადემიურ ხერხს დამხმრე ბერკეტად გამოიყენებს“.

საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში მეტი დრო უნდა დაეთმოს გალერეებსა და მუზეუმებში პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც ექსპერტიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დაეხმარებათ. პრობლემა უნდა გადავჭრათ ისე, როგორც ეს ვენის ალბერტინეს მუზეუმის დირექტორმა ჰანს ტიტცემ შესძლო. მან პირველმა დაამკვიდრა



სასწავლო განაწესში სამუზეუმო ექსპონატებზე სწავლების პრაქტიკა. მისი თქმით, „მან ვინც იცის ყველაზე მეტი, ყველაზე მეტსაც ხედავს“.

საქართველოს მუზეუმებში კულტურული მემკვიდრეობის ქსპერტიზა ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს. 2016 წლის 19 მარტის მუზეუმის ზოგადი დებულების II მუხლის კ. პუნქტის თანახმად, ინსტიტუცია ვალდებული იყო ხელი შეეწყო კულტურული ფასეულობების ექსპერტიზის უზრუნველყოფისათვის. სამწუხაროდ, აღნიშნულ დებულებას რაიმე მნიშვნელოვანი წინსვლა არ მოჰყოლია. სამსახური, რომელიც ერთ დროს საზოგადოებრივი დაკვეთით შეიქმნა, ახალი 2019 წლის 19 მარტის სამუზეუმო დებულებიდან ამოიღეს და მოქალაქეთა პრობლემა ე.წ. „ქუჩის ექსპერტებს" გადაულოცეს, რაც სამუზეუმო პრაქტიკაში უკანგადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია.

მომავალში, საზოგადოება დღის წესრიგში აუცილებლად დააყენებს არტეფაქტების საექსპერტო საქმის განვითარების საკითხს, რადგანაც ხელოვნების ნიმუშების მიუკერძოებული კვლევა ცივილიზირებული სახელმწიფოს იმიჯის ნაწილია. იგი საჭირო გახდება - სასამართლო პროცესების, ნივთის ყიდვა-გაყიდვის, საბაჟო და სადაზღვევო სამსახურის, ქონების აღწერის, სალომბარდო საქმიანობის, ექსპონატების აუთენტურობის დასადგენად და მრავალი სხვა.

დღეისათვის საზოგადოება პრობლემის წინაშეა! ძველი ნივთების შეძენის დროს ვის უნდა ვენდოთ? აკდემიური ცოდნით აღჭურვილ მუზეუმელს, რომელსაც ერთ დღეში პრეზიდენტის სასახლის 61 ანტიკვარული ნივთის დასკვნის დადება „შეუძლია“ თუ „შარლატან არტექსპერტს“, რომელსაც მხოლოდ მერკანტელური ინტერესი ამოძრავებს. არის კი ქვეყნის სამეცნიერო სივრცეში სპეციალისტი, რომელიც არტფაქტების კვლევისას ინტუიტიური მეთოდის ჩართულობით იხელმძღვანელებს? კითხვები პასუხს ელოდება!

P.S. სტატიასთან დაკავშირებულ არგუმენტირებულ მითითებებს მადლიერებით გავიზიარებთ.

ნოდარ ახალკაცი,
სამუზეუმო საქმის ექსპერტი

შენ, ჰე, სუფრავ ქართულო!

ნომადი ბართაია

ლევან როხვაძეს

შენ, ჰე, სუფრავ ქართულო!
შენ, ქართულო ბუნებავ,
შენ ხომ სუფრა არა ხარ,
შენ ხარ ღვთისმსახურება.
ჭირია თუ ლხინია,
თანაც გამორჩეული,
როგორ მორგებული გაქვს
სიტყვა თითოეული.
მხოლოდ სიყვარულია
შენი ია-ვარდები,
შენ ხომ ლოცვით იწყები,
შენ ხომ ლოცვით მთავრდები.
შენთან ყოფნა, რომ მკითხო,
არც ისეა ადვილი,
შენთან ყოველ წვრილმანსაც
აქვს თავისი ადგილი.
შენ გვავიწყებ სიძულვილს
და გვასწავლი სიყვარულს,
მწუხარებას ანელებ,
აორმაგებ სიხარულს.
რატომ უნდა არა ვთქვა,
არის ეს სიმართლე და -
რომ ხარ მომრიგებელი
მოსამართლე ქართველთა.
აქ არ არის დიდი და
აქ არ არის პატარა.
მოხიბლული ო, შენით
ქვეყნად ვინ არ გამხდარა.
ო, რამდენი მე შენგან
სითბო გამომყოლია,
შენი მადლით, შენთან ხომ
ყველა თანასწორია.
ერთადერთი ამ მზის ქვეშ
შენ გაბარებთ გამოცდას.
შენგან, ფეხის არევით,
სირცხვილია გამოსვლა.
ცნობილია ყველასთვის,
ასე სახელგანთქმული,
უბადლოა რომ ქვეყნად
თამადობა ქართული.
მონუსხული გისმენ და,
შენს ადათ-წესს თავს ვუხრი,
როგორ მიყვარს, ო, როგორ
შენი სიტყვა-პასუხი.
თუმცა ღვინო ისმევა,
ეს არ არის ღვინის სმა,
ერთნაირად კარგი ხარ,
ჭირის ხარ თუ ლხინის ხარ.

***

მითამ რად გინდა ანტონავ,
ჩემი ამბების კითხვაო?
გორგალათ ბიჭი გახლავარ,
არაყს ვსვამ თითო ლიტრაო!
ხვანას მაქვს სახნავ-სათიბი,
მთელი ერთისა თვისაო,
ამბარშიც ქერი მიყრია,
ოდაში-ერბო მთისაო,
თახჩაშიც ხილი ბლომად მაქვს,
განა მაჟალო, ტყისაო.

***

ხილი დამწიფდა ბუზმარეთს
მაჟალო და პანტა, მსხალი,
სიკამ ცოლად მოიყვანა,
ასლან ბეგის შავი ქალი.

***

ნუ მიეჩვევით ხვანელნო,
ყაჩაღობასა, ძარცვასა,
ალალი ლუკმა გერჩიოთ,
ნუ იმკით სხვისა ყანასა.
ეხსენით არმის ჭამასა,
მოდით ქრისტესა რჯულზედა,
თორემ, გლახ მოგიგონებენ,
გაჯავრებულის გულზედა,
ეშმაკნი მოგესევიან,
შეგაწუხებენ სულზედა.

***

ჭანჭახებში ვაშლი ვკრიფე,
ორჭოსანში - კარტოფილი,
სამი საყვარელი მყვანდა,
ცოლიც იყო კმაყოფილი.

***

ხვანას რად მიხვალ თერეჯან,[1]
ცალად რად დაიარები?
საითაც გასწევ ყირმიზო,[2]
მეც იქით მრჩება თვალები.
ანიკო ტოტამ [3] გაგზარდა,
მწვავს სიყვარულის ალები,
ეხ, ერთხელ მაინც გაკოცო,
რა ტყვილა დაიარები!
ჰოდა, ნუ წახვალ თერეჯან,
ნურც სოფელს მოეფარები,
სახით დილისვარდს გამსგავსე,
ხმით ბულბულს დაედარები.
ალბათ, მთის წყარომ გიმღერა,
ტყემ გიჩურჩულა ნანაო,
ქვეყნად ნეტავი ვინაა,
თერეჯან, შენისთანაო?!

***

ანტონაი, ბუზმარელი ვარ,
ხორბლის ყანების მთიბელი,
მთელ სოფელს ზამთრად ეყოფა,
კალო გავლეწე იმდენი.
თუ ფქვილი გაგვითავდება,
ღვინო მაინც გვაქვს წითელი,
ვუყვარვარ ჩემსა სოფლელებს,
პერანგი მამცეს მგლისფერი.

***

მღვდელმა დამწყევლა ოხერმა,
-გგონია არ გყავს ბადალი,
საყდარი რისთვინ გაქურდე,
ღმერთი გაგიწყრეს მაღალი!
-ტყვილებს რათ ამბობ მღდელოჯან,
მე გამეტეხოს საყდარი?
ეგ, საქმე თათრებს უქნიათ,
კაცი მე მამკალ მართალი.
აივსე ჩემი ცოდვითა,
მუცელს დაიკარ ხანჯალი!
შენ თვითონ ობლებს აწვალებ,
ქალებთანა ხარ შამძვრალი,
ღვნოსაც ბლომად ჩახეთქამ,
თავი გგონია მართალი?
ცოდვას მე ნუ მდებ ოხერო,
კაცი ვარ ალალ - მართალი!

***

პურ-მარილი გადვიხადეთ,
გვქონდა დიდი კამპანია,
წავაქციეთ ძროხა, ცხვარი,
ვაქეთ მამა-პაპანია,
ღმერთს ვლოცამდით,
ღვინოს ვსვამდით,
სუფრა იყო ხმიანია.
ქალ-ვაჟებიც მრავლად იყვნენ,
გვედგა ერთი ხარხარია.
მაგრამ უცებ გავიგონე,
ჩემ გარშემო ყაყანია,
დამეტაკა ცოლყოფილი,
-მე ჯინი მაქვს რა ხანია,
თვზე ღვინის ბოთლი დამკრა,
გამადინა ჭახანია,
არ მინახამს ქალის ჩხუბი,
ქეიფს დავალ რა ხანია!

***

მოგესალმებით ხვანელნო,
მაღლიდან შაშვის წვერითა,
ნეტავი გამაგებინა,
სალამურივით თვენი ხმა.
უგალობებდეთ ღვთისმშობელს,
დილა-საღამოს მღერითა.
წინ წაგიძღვებათ ვაჟკაცნი,
ტკბილი მესხურის ჟღერითა,
უკან მოგყვებათ ქალ-რძალნი,
მოხუცნი-თეთრის წვერითა,
ყველა გულდაგულ ლოცულობს,
მალი-მალ პირჯვრის წერითა,
ამოხვალთ ბუზმარეთშია,
ქვრივ-ობოლთ შეეწევითა.

მთქმელი: **ოსიკო (იოსებ) გიქოშვილი**, 85 წლის, ახალციხე, ივლიტა.
ჩაიწერა: **სოსო გიქოშვილმა**, 2019 წელი, სექტემბერი

1. თერე - ქალის სახელია, კნინობითი ფორმაა, თებროლესი;
2. ყირმიზი - თურქულია, ნიშნავს - თეთრს;
3.ტოტა - დამახინჯებული რუსულია, ნიშნავს დეიდას (ს.გ.)

მადლობა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია დიდ მადლობას უხდის დიდებულ ქალბატონსა და ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ქართული ლიტერატურის დიდ მოამაგეს ლიანა მანჩხაშვილს ფინანსური დახმარებისათვის.

ოიგორლა ცოფილი გოგაშენები

გოგაშნელების წინაპრებს უცხოვრიათ ვარძიის ხეობაში, მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე, ალბათ, ეს ყოფილა XI-XII საუკუნეებში. შემდგომ მოსახლეობის უმრავლესობას გადაუწყვეტია ხეობის თავზე, ჯავახეთის პლატოზე, დასახლებულიყვნენ, რადგან იქ ადრიდანვე ყველას ჰქონია ნაყოფიერი მიწები. პირველად ეს ხალხი დასახლებულა იქ, სადაც დღეს ეკლესია და სოფლის სასაფლაოა. გადმოცემის თანახმად, ეს ადგილი გოგაითად იყო ცნობილი და დღესაც გოგაითს ვეძახით. თავიდან ე.წ. ახლად დასახლებულ ადგილზე, ვერ დამკვიდრებულან, რადგან ხშირი ყოფილა მცირეწლოვანი ბავშვების მოულოდნელი დაკარგვის ფაქტები, რის გამოც სოფლის მოსახლეობას გადაუწყვეტია ადგილის შეცვლა და ბევრი მსჯელობის შემდეგ ერთი გაუთხოვარი გოგოს ნათქვამზე დასახლებულან სწორედ იმ ადგილას, სადაც დღეს სოფელი გოგაშენია გაშენებული და იმ გოგოს საპატივსაცემოდ მისთვის, თურმე, გოგოშენს ეძახდნენ.

***

გოგაშენში ძირითადად ცხოვრობენ ნათენაძეები, თუმცა ამ გვარისანები ყველა ერთი ოჯახიდან არ არიან გამოსულები. ყველამ თავისი წარმომავლობა კარგად იცის. ამ სოფლიდან წასულები არიან ლაზიშვილების, კოვზიაშვილების, პეტრიაძეების, ოქროაძეების, ცისკარაძეების, სარაჯიშვილების გვარის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გადასახლდნენ. ნათენაძეების წინაპრები წამოსული არიან ყურთ-ყალიდან, რომელიც მდებარეობდა ნიალის სიახლოვეს, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე. თურქულად ყურთ არის მგელი, ხოლო ყალა ნიშნავს ციხეს, ე.ი. მგელ-ციხე. ამავე თქმულების მიხედვით, ყურთ-ყალადან (მგელ-ციხედან) გადმოსულა მამა-შვილი. მამას რქმევია ყორანა, შვილს – როსტომი. ყორანა ზედმეტ სახელად ჰქონია, ნამდვილი სახელი არავინ იცის. ისინი დასახლებულან ქორსატეველაზე, ეს ადგილი რისთვის შეურჩევიათ, არავინ იცის, მხოლოდ ის გამხდარა შემდეგ ცნობილი, რომ მას როსტომის გარდა კიდევ ჰყოლია ორი ვაჟიშვილი. მოგვიანებით ერთი გადასახლებულა აჭარაში, კერძოდ, ბათუმში და დაწერილა არა ნათენაძედ, არამედ გათენაძედ, მესამე ვაჟი კი წასულა და დასახლებულა დღევანდელ სოფელ განთიადში და მიუღია დევნოზაშვილის გვარი. დღეს ამ სოფელში მრავლად ცხოვრობენ დევნოზაშვილები, რომლებსაც ყურდღაანთ ეძახიან, როგორც, ანალოგიურად, სოფელ გოგაშენში ჩვენ გვეძახიან. ქორსატეველაზე მარტო დარჩენილი როსტომი კი ბოლოს ამოსულა გოგაშენში და იქ დასახლებულა, რომელსაც ცოლად შეურთავს აგარელი ადუაანთ ქალი და შესძენიათ ორი ვაჟი – მამულა და მარიამი. სამწუხაროდ, როსტომის მეუღლე ადრე გარდაცვლილა და ამის შემდეგ მეორედ დაქორწინებულა ყურთ-ყალელ ქართველ ქალზე, რომელიც ადრე თურქს ყოლია ცოლად და მისგან ერთი ვაჟიშვილი დარჩენილა. როსტომმა ეს ქალი რომ შეირთო, მისი შვილიც წამოუყვანია გასაზრდელად. ეს ვაჟი, თურმე, ყველას მოსწონდა. როსტომს შესძენია თურმე ქალიშვილი და რომ გაზრდილან, ერთმანეთზე დაუქორწინებიათ.

თურქულენოვანი ქესხური გამონათქვამები

*
ნაცნობი ნაცნობთან ხშირი მისვლით ძმად გადაიქცევაო.
*
შეინახე ნამჯა და მაგის დროც დადგებაო.
*
გოგო რომ დაიბადება, მამიდას ემსგავსება, თუ ვაჟი დაიბადება – ბიძასაო.
*
ძველი მტერი მეგობარი არ გაგიხდებაო.
*
არავისი სანთელი გათენებამდე არ დამწვარაო.
*
იმის სამღვთო ვიქნები, ვინც დამაფასებსო.
*
ვინც უფროსის სიტყვას არ შეისმენს, ყოველთვის სანანებელი გაუხდებაო.
*
მყიდველმა და გამყიდველმა იციანო.
*
ცუდის გამკეთებელს არ შერჩებაო.
*
პატარძალთან დამწოლი გაიგებსო.

მთქმელი **ირაკლი ნათენაძე**, 88 წლის, სოფელი გოგაშენი,
ჩაიწერა **მაია ნათენაძემ** 2020 წელს

გამოიჩინეთ თანაგრძნობა!

ორი მცირეწლოვანი შვილის დედა, მაკო ბერიძე, მძიმე დაავადებას ებრძვის და მისი გადაუდებელი მკურნალობა მხოლოდ საზღვარგარეთაა შესაძლებელი, რისთვისაც 100 000 დოლარზე მეტია საჭირო, რომლის გადახდის საშუალება ოჯახს არა აქვს.

გვჯერა, თითოეული კეთილი ნების ადამიანი, ბიზნესმენი, გულთან მიიტანს უმძიმესი დაავადების მქონე ახალგაზრდა დედის მდგომარეობას და მაქსიმალურად გაუწევს ფინანსურ დახმარებას და თავის წვლილს შეიტანს მისი სიცოცხლის გადასარჩენად.

დახმარების მსურველებს თანხის ჩარიცხვა შეუძლიათ შემდეგ ანგარიშზე:
საქართველოს ბანკი
GE47BG0000000161920997;
TBC ბანკი: GE77TB7060345061100071;

მიმღები: ბექა ბერიძე (მაკოს მეუღლე).

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ცნობილ პოეტსა და მხატვარს მაია დიაკონიძეს დის
მედეა დიაკონიძის
გარდაცვალების გამო

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com